

პრესომბუდსმენი A2



ოთხი თვე ქართული ღვინის გარეშე A4



ამერიკული ხანა დასრულდა A5


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 14 აგვისტო, 2006 წელი. №181 (1333)

ფასი 50 თეთრი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**


## სამართალი

### საბოლოო განაჩენი ყოფილი კოლეგებისთვის

"მოსამართლეთა საქმის" ირგვლივ განვითარებული რვათვიანი ბატალიები დასრულდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის საბოლოო გადაწყვეტილებით, ე.წ. მეამბოხე მოსამართლეებს უფლებამოსილება საბოლოოდ შეუწყდათ.

A2

## პოლიტიკა

### ოფიცრებს ბინები კერძო საკუთრებაში გადაეცემათ

შეიარაღებულ ძალებში შვიდი წლის სამსახურის შემდეგ, ოფიცრებს ბინები კერძო საკუთრებაში გადაეცემათ. "ეს საოცრად კარგი ტრადიციაა და ის უნდა გაგრძელდეს. ეს კეთდება იმისათვის, რომ მთელი ქვეყანა დაცული იყოს", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემისას.

A3

## სპორტი

### "ხუთჭვაროსნებს" შაშიაშვილი შეემატა

16 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში აიღებს სტარტს. პირველ შეხვედრას ჩვენი გუნდი ფარერის კუნძულებზე, ამ მინისახელმწიფოს ნაკრებთან გამართავს.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 14/08 | 15/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 41 | 41 |
| ბათუმი | 43 | 41 |
| სოხუმი | 43 | 40 |
| ქუთაისი | 45 | 45 |
| გორი | 37 | 37 |
| ონი | 31 | 33 |
| ზუგდიდი | 47 | 43 |
| ახმეტა | 40 | 40 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7600 |
| ევრო | 2.2494 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3343 |
| რუბლი | 0.0657 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# აფხაზეთში აუცილებელია საერთაშორისო პოლიციის განლაგება

### ეუთო-ში აშშ-ს მისიის განცხადება

11 აგვისტოს ეუთო-ში აშშ-ს მისიამ გააკეთა განცხადება საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტში გამოთქმულია შეშფოთება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარების ხელახალი დაძაბვის გამო. განცხადება შეიცავს მოწოდებას ყველა მხარის მიმართ, თავი შეიკავონ ისეთი ლექსიკის გამოყენებისა და ქმედებების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება არსებული სიტუაცია გააუარესოს.

**"სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავრობამ წესრიგის დამყარებისაკენ მიმართული მოქმედებები განახორციელა კოდორის ხეობაში. ოფიციალური განცხადების თანახმად, ამ ოპერაციის მიზანი იყო სამოქალაქო კონტროლის ხელახალი დამყარება კანონიერების აღსადგენად, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და სოციალური მომსახურების გაწევა. საქართველოს პოლიციის ძალების მოქმედებამ ხელი შეუწყო საქართველოს აფხაზეთის რეგიონში დამნაშავეობის წყაროსა და დესტაბილიზაციის აღმოფხვრას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში კრიტიკული მნიშვნელობა სწორედ კანონიერების დაცვის უზრუნველყოფას ენიჭება, რაც საქართველოს მთავრობის როგორც სუვერენულ უფლებას, ისე მოვალეობასაც წარმოადგენს"**, - ნათქვამია ეუთო-ში აშშ-ის მისიის განცხადებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "თიბისი ბანკი" ახალგაზრდებს სტუდენტური სესხებით დაეხმარება

*თიბისი ბანკი 21 აგვისტოდან საერთო ეროვნულ გამოცდებში წარმატებულ ახალგაზრდებს სტუდენტური სესხებით დააფინანსებს. სწორედ ამ დღიდან თბილისში, აღმაშენებლის 123-ში მდებარე საბანკო-საფინანსო აკადემიის შენობაში ფუნქციონირებას დაიწყებს სერვისცენტრი, რომელიც მხოლოდ სტუდენტებს მოემსახურება. მათ თიბისი ბანკი სესხებს შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით სთავაზობს. 21 აგვისტომდე კი დაინტერესებულ ადამიანებს ინფორმაციის დაზუსტება შეეძლებათ ტელეფონზე დარეკვით, ნომერზე: 27 27 27*

თიბისი ბანკის სტუდენტური სესხები გაიცემა საქართველოში ბაკალავრიატის სწავლის ღირებულების დასაფინანსებლად იგულისხმება იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც 2006 წელს ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. ამავდროულად თიბისი ბანკში შესაძლებელია სასწავლო სესხების აღება სხვა მიზნობრიობებითაც საქართველოში და საზღვარგარეთ მაგისტრატურის დასაფინანსებლად, საშუალო სკოლისა და ნებისმიერი სახის სასწავლო კურსის დასაფინანსებლად და სხვა.

### ვინ შეიძლება მიიღოს თიბისი ბანკის სტუდენტური სესხი 1 საათში?

სტუდენტური სესხის მიღება პირველ რიგში შეუძლია იმ 9000 სტუდენტს, რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო გრანტი, ანუ სტუდენტების ოთხივე კატეგორიას სახელმწიფოს 100 პროცენტიანი, 70 პროცენტიანი, 50 პროცენტიანი და 30 პროცენტიანი დაფინანსებით. ამ სტუდენტებისთვის თიბისი ბანკმა დააწესა განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები დაბალი საპროცენტო განაკვეთი წლიური 14 პროცენტიდან, სესხის 1 საათის განმავლობაში დამტკიცება აღმაშენებლის 123-ში მდებარე სპეციალური სტუდენტური სესხების მომსახურე ცენტრიდან (მხოლოდ თბილისში), უფასო პლასტიკური ბარათი და ინტერნეტ ბანკის პროგრამა და ა.შ.

გაგრძელება A4 გვერდზე




# დმანისის გრან-პრი




შეჭიბრი შუბის ტყორცნაში.

# უფლებააყრილი გალელი ქართველები

### ომბუდსმენის სპეციალური განცხადება

საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც იგი გმობს გალის რაიონში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივ ხელყოფას - ცემას, წამებას, ძალადობასა და ადამიანურობისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებს.

**"ბოლო დროს გალის რაიონში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებების ხელყოფის შემთხვევებში დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენენ დსთ-ს რუსი მშვიდობისმყოფელები. არადა, "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ" დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების 1995 წლის 26 მაისის დანართის მიხედვით, დსთ-ს სამშვიდობო ძალები პასუხისმგებელნი არიან, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე "ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას". დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა სამიტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები არის ის დოკუმენტები, რის საფუძველზეც კონფლიქტის ზონაში დღემდე იმყოფებიან დსთ-ს რუსი სამშვიდობოები,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შსკ-ს სხდომა მოსკოვში გაიმართება

ნათია მსხილაძე

ქართულ-ოსური კონფლიქტის შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა მოსკოვში, სავარაუდოდ, 17-18 აგვისტოს გაიმართება. წინასწარი ინფორმაციით, სხდომაზე კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება და კონფლიქტის დარეგულირების სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხი განიხილება.

შერეული საკონტროლო კომისიის ბოლო სხდომა ცხინვალში 22 მაისს გაიმართა. მომდევნო სხდომის ჩატარება 17-18 ივლისს თბილისში იყო დაგეგმილი, მაგრამ იგი არ შედგა. სხდომის ჩაშლას სარჩულად რუსული და ოსური მხარეების საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლაზე უარი დაედო. თბილისში არ ჩამოსვლის მიზეზი კი, სამხედრო პოლიციის მიერ რუსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის იური პოპოვისა და რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილის ვალერი ევნევიჩის გორთან დაკავების და ცხინვალში არშეშვების ფაქტი გახდა.

იმდროინდელმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გოგა ხაინდრავამ დაგმო სამხედრო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის გადაწყვეტილება რუსი დიპლომატების დროებით შეჩერების თაობაზე და მას უპასუხისმგებლო ქმედება უწოდა.

სხდომის ჩაშლიდან მოკლე დროში, რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, შესაძლოა, ივლისის ბოლოს, ან აგვისტოს დასაწყისში მოსკოვში ჩატარდეს. ამჯერად საორიენტაციო დროდ 17-18 აგვისტო დასახელდა.

# ყველა თანახმაა ომი შეწყდეს

### საერთაშორისო მშვიდობისმყოფელების ჩამოსვლამდე ისრაელი უკანასკნელ ბრძოლებს მართავს

*ისრაელი და ლიბანი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებით, ცეცხლი დღეს, გრინვიჩის დროით 05:00 საათზე უნდა შეწყვეტილიყო. მანამდე კი გუშინ "ჰეზბოლა" ჩრდილოეთ ისრაელის ქალაქებზე სარაკეტო დარტყმებს განაგრძობდა. ისევე როგორც "ცაჰალი" ახორციელებდა სამხრეთ ლიბანის "ტერორისტებისგან" წმენდას და საზღვრიდან 10-11 კილომეტრით წინაც წაიწია. დახოცილები და დაჭრილები გუშინაც ორივე მხარეზე მრავლად იყო.*

**"ბედნიერი ვარ, გაუწყოთ, რომ ორი სახელმწიფოს მეთაურმა შეთანხმებას მიაღწია,"** - განაცხადა კოფი ანანმა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან ეჰუდ ოლმერტთან და ლიბანის პრემიერ-მინისტრთან ფაუდ სინიორასთან გამართული კონსულტაციების შემდეგ.

მხარეები ვალდებულნი არიან, შეასრულონ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 11 აგვისტოს მიღებული რეზოლუცია N1701. რეზოლუციის თანახმად, "იუნიფილის" (გაერო-ს დროებითი სამშვიდობო ძალები სამხრეთ ლიბანში) კონტინგენტი რეგიონში დღეისთვის არსებული 2 ათასიდან 15 ათასამდე გაიზრდება და მას ახალი მანდატი მიენიჭება.

სამხრეთ ლიბანიდან ისრაელის თავდაცვის ჯარის წასვლის შემდეგ, ამ რაიონში სწორედ გაერო-ს სამშვიდობოები და ლიბანელი ჯარისკაცები განთავსდებიან.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გაერო-ს რეზოლუციის მიღების ფაქტს მშვიდობისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა: **" ამ რეზოლუციის მიღება მსოფლიო საზოგადოებას დაეხმარება გზა გაუხსნას მყარი მშვიდობის დამყარებას ლიბანსა და ისრაელს შორის. მშვიდობისა, რომელიც შეწყვეტს ადამიანების ტანჯვას და შეაჩერებს ძალადობას, რომელსაც ადამიანები ბოლო თვეებში განიცდიდნენ. "**

რეზოლუციის მიღებას მიესალმა ევროკავშირიც. ბეირუთში მყოფმა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ იმედი გამოთქვა, რომ ისრაელის და ლიბანის ხელისუფლება, რომელშიც "ჰეზბოლას" წევრებიც შედიან, მხარს დაუჭერს ამ რეზოლუციას. **"ეს იქნება დასაბამი ისრაელის ჯარების გაყვანისა და ცეცხლის შეწყვეტისა, რასაც, დარწმუნებული ვარ მხარს დაუჭერს ორივე მხარე და რაც გრძელვადიანი და მყარი იქნება, "** - განაცხადა სოლანამ.

გაგრძელება A3 გვერდზე

### პრესომბუდსმენი



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ვაგრძელებთ რუსი პოლიტიკოსების პოეტური შემოქმედების მიმოხილვას. ამჯერად პროგრამაშია "პლეხანოველი ბიჭი", **ევგენი პრიმაკოვი**. რა თქმა უნდა, ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, რომ ამ პატივცემულ გვამს თბილისში ნათესავები თუ მოყვრები ჰყავს, არც მისი თანამდებობების ზუსტი ჩამონათვალი გვაინტერესებს. ერთადერთი რამაა მნიშვნელოვანი: საქმე გვაქვს "ჰომო ნომენკლატურუსის" ქრესტომათიულ წარმომადგენელთან, წმინდა ნიმუშთან. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ადამიანი ჯერ არ ჩამოყალიბებულა ახალ საქართველოში და ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გადაშენებული სახეობის რელიქტებიც მაინცდამაინც არ პარპაშებენ — სადღაც მიიმალნენ. ან იქნებ არც არასოდეს ყოფილან? მაგრამ სიტყვა მივცეთ ჩვენს ავტორს:

Доктор, как хорошо, что Вы рядом,
Дело даже не в медицине,
Боже, важней на целый порядок
То, что глаза у Вас синие-синие,
Серые, вдруг чуть-чуть зеленые,
Гамма, а не единый цвет.
В них - степное, размашисто-вольное
Прикавказье прожитых лет.
Вы прошли частокол испытаний
Сквозь начальников-пациентов.
Глаза стали немного печальны,
Но по-прежнему многоцветны.
Доктор с вами мне стало надежней -
Дело даже не в медицине,
Просто жизнь у всех очень сложная,
А глаза у Вас все-таки синие...

ნუ აგვიჩუყდება გული იმაზე, რომ მეორე სტროფში ავტორი ჩვენ მხარეს ჩვეულ "ზაკავკაზიედ" კი არ მოიხსენიებს, არამედ "პრიკავკაზიედ" — ამიერკავკასიად. დავაკვირდეთ, რომ თვით ტერმინი "ამიერკავკასია" გაქრა ჩვენი მეტყველებიდან, რადგან "იმიერსაც" გულისხმობდა. ძალიან კარგია, რომ გაქრა. უმჯობესია, ყურადღება მივაქციოთ მესამე სტროფის დასაწყისს, სადაც ავტორი ეუბნება თავის მომხიბლავ ექიმს: "თქვენ გაიარეთ განსაცდელის გალავანი, გაუძელით ძალაუფლების მქონე პაციენტებს". ეჰ, ვერაფერი შეედრება რუსულ სიტყვას "ნაჩალნიკ"! ამის მსგავსი გემო მხოლოდ ერთ ტერმინს ჰქონდა, რომელსაც ჩვენში მძღოლები იყენებდნენ: "ხაზეინი". იყო შესაბამისი ზედსართავებიც: "სახაზეინო" — ეძახდნენ კარგი ხარისხის ან უბრალოდ ლამაზ ნივთს. მძღოლებს პერიოდულად ვხვდები, მაგრამ სიტყვა "ხაზეინი" უკვე აღარ მესმის. ესეც კარგია!

მაინც საით ვუმიზნებ? მოთმინება, ბატონებო, ახლავე აგიხსნით.

რას გვეუბნება პრიმაკოვის ლექსი? — ხალხო, — გაჰყვირის "ლირიკული გმირი", — მართალია, "ხაზეინი" ვარ, მაგრამ ადამიანიც ვარ! შეხედეთ, როგორ გულისხმიერად ვეპყრობი ჩემს მონებს, მეოთხე სამმართველოს თუ "კრემლიოვკის" ექიმებს. თუ არ დააკვირდით, ვერც კი შეამჩნევთ, რომ მონები არიან. მე პირადი ცხოვრებაც მაქვს, აბა! პირადი წარსულიც! მე იმპერიის გარეუბანში დავიბადე და გავიზარდე, ამიტომაც მაქვს ესოდენ პოეტური სული. ამიტომაც შემიძლია ერთმანეთს შევუხამო მდიდარი რუსული პოეზიის გახუნებული კლიშეები და ისე გავაგებინო ყველას, რომ ჩემი ცხოვრება არავისაზე მარტივი არაა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ლექსში სიმშვიდეა. სრულყოფილი და შეუვალი სიმშვიდე იმის გამო, რომ ყველაფერი მუდამ უცვლელად იქნება: შევჭამთ პარტიული გამანაწილებელიდან (ეგრეთ წოდებული "ობჟირალოვკიდან") გამოტანილ პროდუქტებს და სპეცპოლიკლინიკებში ვიმკურნალებთ. ახლა კი გავიხსენოთ საყვედური, რომელიც "202"-ის ეთერში **გოგა ხაინდრავამ** ესროლა **გიგი უგულავას**: მთაწმინდაზე მცხოვრები უბრალო ინტელიგენტების შვილია და ახლა ნახეთ, როგორი კოსტიუმები აცვიაო?!

რამე ხომ არ გეცნოთ? — მაგალითად, ეს ორი სიტყვა: "უბრალო ინტელიგენტი" (ვარიანტი — "პატიოსანი ინტელიგენტი"). არ ვამბობ იმაზე, რომ თბილისის მერობის სავარაუდო კანდიდატი თავიდანვე იმ აზრითაა გამსჭვალული, რომ ქალაქის უბნის სახელი და მისი მცხოვრების გარდერობი ერთმანეთს მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს. აი, ვერაზე მცხოვრებ ინტელიგენტს როგორი კოსტიუმი ეკუთვნის, ნეტავ?

მაგრამ თავს ნუ შევიწუხებთ წვრილმანებით. ამის ნაცვლად, ერთ კითხვას ვუპასუხოთ: რა განსხვავებაა ევგენი პრიმაკოვსა და გოგა ხაინდრავას შორის? ერთი ხელოვნურად შექმნილი საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელია, რომელიც საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან ერთიანობას ხელოვნური ხერხებით გამოხატავს; მეორე — ბუნებრივად წარმოშობილი საზოგადოებრივი ფენის ერთ-ერთი წევრია, რომელიც ამ ფენიდან ამოხტომას ლამობს. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ვითარებიდან? — გავანებოთ თავი ჩვენს გმირებს და აღვნიშნოთ ერთი უეჭველი გარემოება: საქართველოში არ არსებობს საზიარო ეკონომიკური ინტერესების მქონე ადამიანთა მრავალრიცხოვანი ერთობები, რომელთა ინტერესებს გამოსახატავად და განსახორციელებლად პოლიტიკა დასჭირდება. სწორედ ამიტომ არ ამაღლებულა საქართველოს სახელმწიფოს ცხოველქმედება პოლიტიკის დონემდე. სწორედ ამიტომ სარგებლობენ ხანმოკლე და ეფემერული წარმატებით ადამიანები, რომლებიც "გაბედავენ" და რომელიმე მეორეხარისხოვან რუს ჩინოვნიკს ქუჩურად გაუხურებენ: აბა, მითხარი, სად გადის საქართველოს საზღვარიო!

სანამ საქართველოში ასეთი ერთობები არ შეიქმნება, პოლიტიკის სიმულაცია ყოველთვის იქნება განპირობებული "ამერიკელი კოლეგებისათვის" თვალებში ნაცრის შეყრის საჭიროებით. აი, აქ კი მივადექით მომენტს, სადაც უნდა გავიხსენოთ "24 საათის" 9 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული **ია ანთაძის** სტატია — *რატომ არ იცვლება ტრადიციული არჩევანი ცუდსა და უარესს შორის*. ია ანთაძეც დაახლოებით ისევე იწყებს, როგორც მე: ამბობს, რომ ბადრი პატარკაციშვილისა და გოგა ხაინდრავას წამოყენება თბილისის მერობის კანდიდატებად მეტყველებს იმაზე, რომ ოპოზიციას თვითმყოფადი პოლიტიკური სახე არ გააჩნია. ამის შემდეგ ავტორი ასევე სამართლიანად აღნიშნავს ერთ განსხვავებას, რომელსაც მე უფრო გავამძაფრებ: თუ სახელისუფლებო უმრავლესობა კონცენტრირდება საჭირბოროტო თემებზე (წყალი, ქუჩები, ელექტროდენი, გაზმომარაგება და ა. შ.), ოპოზიცია დაუფარავი ტექსტით გვამცნობს, რომ ჩართულია ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და ამის გარდა ვერაფერს ამჩნევს. ასევე სამართლიანად მსჯელობს ავტორი იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მხოლოდ ორი ტიპის პერსონაჟები ჩანან: ბიზნესიდან მოსული ხალხი და უმრავლესობის ანასხლეტები. საეჭვო მომენტი ამის შემდეგ მოდის...

ია ანთაძე გვეუბნება: შვიდპროცენტიანი ბარიერი ძალიან მაღალია, სწორედ ამიტომ არ ჩნდება ხელისუფლებაში ახალი სახე. ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივია და ლოგიკური: ბარიერის დადაბლება მართლაც გაუხსნის გზას პარლამენტისკენ ახალ სახეებს. მაგრამ არსებითი სხვაა: იქნებიან თუ არა ეს ახალი სახეები შესაბამისი ხარისხის? რატომღაც მგონია, აქ ერთი გავრცელებული მითი მოქმედებს: საქართველო სავსეა "უჭკვიანესი", "უნიჭიერესი", მაგრამ ღარიბი და უპატრონო ადამიანებით. დამერწმუნეთ, ბატონებო, არაფერი მაგის მსგავსი არ არსებობს, რადგან უჭკვიანესი და უნიჭიერესი მხოლოდ ისაა, ვინც ყველაფრის მიუხედავად აღწევს მიზანს. მიზანი კი ყოველთვის მაღალი უნდა იყოს — თამასის დადაბლება ჩვენი საყოველთაო დამდაბლების ტოლფასია.

მიმოიხედეთ, ჩვენს თვალწინ ხელისგულივით გადაშლილა ქართველი საზოგადოება: სად, რომელ კუნჭულში იმალება ახალი სახე, რომელიც ასკინკილით გადაახტება ხუთპროცენტიან ბარიერს და ყველას ერთბაშად მოგვიტანს შვებასა და ბედნიერებას? ასეთ სასწაულს მე არ ველი: დიდი-დიდი, რომელიმე პოლიტიკური მარგინალი ვიხილოთ პარლამენტში, ახლა რომ ძლივს აკოწიწებს თანხებს სოროსის ფიტულების დასამზადებლად, მერე კი ათასი ძაღლისა და ღორის "კრიშობაზე" გამოიდებს თავს.

დასაწყისში მეტისმეტი სიმხნევით შევუტიე საავადმყოფოს საწოლს მიჯაჭვულ პრიმაკოვს, ბოლოში კი მისი კიდევ ერთი მცირე ქმნილება მინდა შემოგთავაზოთ:

Давлю в себе раба - работаю в три смены,
Но прежним остаюсь в поступках и делах.
Быть может, наперед запрограммировали гены
До самого конца жить в кандалах?!

შეგხვედრიათ მაღალი თანამდებობის ქართველი, თუნდაც უნიჭო პოეტი, რომელიც გულწრფელობის ასეთ დონეს აღწევდეს? — მე არა.

# საბოლოო განაჩენი ყოფილი კოლეგებისთვის

*"მოსამართლეთა საქმის" ირგვლივ განვითარებული რვათვიანი ბატალიები დასრულდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის საბოლოო გადაწყვეტილებით, ე.წ. მეამბოხე მოსამართლეებს უფლებამოსილება საბოლოოდ შეუწყდათ, ანუ უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა საქართველოს იუსტიციის საბჭოს სადისპიცლინო კოლეგიის ის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. წ. მეამბოხე მოსამართლეებს - ნინო გვენეტაძეს და მერაბ ტურავას - უფლებამოსილება შეუჩერდათ, ხოლო დავით სულაქველიძეს საყვედური გამოეცხადა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება პარლამენტმა პირველივე სესიის დროს, სექტემბერში უნდა დაამტკიცოს.*




როგორც მოსამართლეთა ასოციაციაში აცხადებენ, "მეამბოხე მოსამართლეების" საქმით საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ის ნიუიორკის ოფისი დაინტერესდა. ორგანიზაციის წევრები მაისის თვეში საქართველოში იმყოფებოდნენ და "მეამბოხე მოსამართლეებს" შეხვდნენ.

Human Rights Watch-ის ნიუიორკის ოფისის შეფასებით, **"მეამბოხე მოსამართლეთა" მიმართ უკანონო სადისციპლინო დევნა განხორციელდა, რაც დამოუკიდებელ სასამართლოზე შეტევაა"**.

ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების საქმესთან დაკავშირებით სპეციალურ მოხსენებას ამზადებენ ევროსაბჭოს ექსპერტები. მოხსენებით ისინი შემოდგომაზე ევროსაბჭოს წინაშე წარდგებიან.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მერაბ ტურავას განცხადებით, მათი საქმით დაინტერესებულია გერმანიის მოსამართლეთა ასოციაცია. მისივე თქმით, გერმანელი მოსამართლეები, პოლიტიკოსები და უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დისციპლინარული სამართალწარმოება აშკარა კანონდარღვევაა.

**"ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ ის, რასაც დღეს საქართველოში მოსამართლეებს ედავებიან, სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და ფაქტობრივი და ცოლ-ქმრული ურთიერთობის გათანაბრებაა"**, - განაცხადა მერაბ ტურავამ.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 25 დეკემბერს ქართული თემიდის წარმომადგენლებს მკაცრი ვერდიქტი გამოუტანეს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სხვადასხვა ინსტანციის 18 მოსამართლის, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების - ნინო გვენეტაძის, მერაბ ტურავას და დავით სულაქველიძის დისციპლინარული დევნის საკითხი განიხილა. საბჭო მათ საპროცესო კანონდარღვევის გამო ედავებოდა. საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლეებს სამართლებრივი ნორმის არასწორად ინტერპრეტაციის გამო სამოსამართლო უფლებამოსილება შეუჩერდათ. ზოგიერთ მათგანს კი სხვა სახის სასჯელი დაეკისრა.

თავად "მეამბოხე მოსამართლეები" კი ამტკიცებენ, მათ წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა მაშინ დაიწყო, როცა მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შესახებ ხმამაღალი განცხადებები გააკეთეს. და ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პოლიტიკური შეკვეთების მიცემაში დაადანაშაულეს.

მას შემდეგ, რაც "მემაბოხე მოსამართლეები" უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებას ჩაიბარებენ, სარჩელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გააგზავნიან.

დღის წესრიგშია ყოფილ მოსამართლეთა მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნაც. როგორც ცნობილია, ამ საკითხის გამო, მათ საქართველოში გერმანიის ელჩთან უკვე ჰქონდათ შეხვედრა. ცნობილია ისიც, რომ გერმანია მზადაა, "მეამბოხე მოსამართლეებს" თავშესაფარი მისცეს.

*24 საათი*

# უფლებააყრილი გალელი ქართველები

პირველი გვერდიდან

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების, უპირატესად ეთნიკური ქართველების მიმართ ირღვევა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით მინიჭებული მთელი რიგი უფლებები. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-13, მე-18, მე-19, 22-ე, 23-ე, 25-ე მუხლები;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3, მე-4, მე-5, მე-10, მე-14 მუხლები;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის N4 ოქმის მე-2 მუხლი.

**"მართალია, აფხაზეთში დე-ფაქტო მოქმედი ხელისუფლება არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეები აფხაზეთში მოქმედი ხელისუფლების ფაქტობრივი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან, საკითხი უნდა გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციების, გაერო-ს გენერალური მდივნის, მეგობარი ქვეყნებისა და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების შეფასების საგანი, "** - აცხადებს სოზარ სუბარი.

*24 საათი*

# დანები N7 საპყრობილეში

თბილისის საქალაქო სასამართლომ იმ ხუთი პატიმრის საქმე განიხილა, რომელთაც საკნებშიც ჩატარებული ჩხრეკისას დანები აღმოაჩინეს. პატიმრებს გიორგი ენდელაძეს, გიორგი ქართველიშვილს, აკაკი ლანდიას, მალხაზ მგალობლიშვილს და გოჩა კარანაძეს ბრალდების მხარის მოთხოვნით, სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატებმა პროცესზე მოსამართლეს გირაოს სახით 2000-2000 ლარს გადახდის შუამდგომლობით მიმართეს, თუმცა უშედეგოდ.

პატიმარ გიორგი ენდელაძის ადვოკატის განმარტებით, გიორგი ენდელაძის, გიორგი ქართველიშვილის, აკაკი ლანდიას, მალხაზ მგალობლიშვილისა და გოჩა კარანაძის წინააღმდეგ საქმე საპყრობილეებში აკრძალული ნივთების ქონის ფაქტზე აღძრეს, რაც დამტკიცების შემთხვევაში 2-დან 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. არადა, ეს ის პატიმრები არიან, რომლებიც უახლოეს დღეებში თავისუფლდებოდნენ.

ადვოკატების განცხადებით, ციხის ადმინისტრაციას ამ პატიმართა გათავისუფლება არ სურს, ამიტომ მათ საკნებში აკრძალული ნივთები ჩაუდეს.

"მე-7 საპყრობილეში დანის შეტანაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩიტიც კი ვერ შეფრინდება, იქ ნებისმიერი საყოფაცხოვრებო საგნის შეტანაც კი პრობლემას წარმოადგენს. წარმოუდგენელია, რომ პატიმრებს, რომლებიც რამდენიმე დღეში უნდა გათავისუფლებულიყვნენ, რაიმე სახის აკრძალული ნივთები, მათ შორის დანები ჰქონოდათ", - განაცხადა ხაჭაპურიძემ.

აქედან გამომდინარე, ადვოკატები ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ საპყრობილეში აკრძალული ნივთების არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებელი სწორედ ციხის ადმინისტრაციაა.

*ინტერპრესნიუსი*






### მოკლედ

**ბრალდებულების პროტესტი**

ზუგდიდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N 4 საპყრობილეში მოთავსებულმა ეჭვმიტანილებმა ზაზა წულაიამ და კახა ბერიშვილმა, პროტესტის ნიშნად კოვზები გადაყლაპეს. წულაია და ბერიშვილი ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით, სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინ დააკავეს და წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. დაკავებულების ახლობლების მტკიცებით, ზაზა წულაია და კახა ბერიშვილი უდანაშაულოები არან, რაც ეჭვმიტანილებმა კოვზების გადაყლაპვით გააპროტესტეს. ამჟამად წულაია და ბერიშვილი იმყოფებიან ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც გაუკეთდათ ოპერაციები. საავადმყოფოს მედპერსონალის განცხადებით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

**მეათე გარდაცვლილი პატიმარი**

საქართველოს სხვადასხვა ციხე-საპყრობილეებში აგვისტოს თვეში ათი პატიმარი გარდაიცვალა. მეათე გარდაცვლილი პატიმარი 24 წლის მოგელი ცხვირავაშვილია, რომელიც სეფსისის ცენტში გარდაიცვალა. როგორც იუსტიციის სამინსიტროში განაცხადეს, პატიმარი 11 აგვისტოს სეფსისის ცენტრში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №5 საპყრობილედან სასწრაფო წესით გადაიყვანეს. გარდაცვალების მიზეზი გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა. ცხვირავაშვილი 2006 წლის 22 ივნისს დააკავეს.

იუსტიციის სამინისტრო პატიმრების გარდაცვალების ფაქტებს დეტალურად იკვლევს. ოფიციალური ინფორმაციით, პატიმართა გაზრდილი სიკვდილიანობა ძირითადად ნერვული სტრესით გამოწვეული გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით არის განპირობებული. *24 საათი*


24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# აფხაზეთში აუცილებელია საერთაშორისო პოლიციის განლაგება

პირველი გვერდიდან

მისი ავტორები მიესალმებიან საქართველოს მთავრობის მიერ კოდორის ხეობაში განხორციელებული პოლიციური ოპერაციის დროს ურთიერთნდობის გაძლიერებისკენ მიმართული ისეთი ზომების მიღებას, როგორიცაა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნება, ძალის შემდგომ გამოყენებაზე უარის თქმა და შენაერთების თანმიმდევრული გამოყვანის დაწყება.

ეუთო-ში აშშ-ის მისია მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, დაიცვან 1994 წლის ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ყველა სხვა სათანადო ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთის რეგიონთან დაკავშირებით იყო მიღებული.

**"აშშ მხარს უჭერს კოდორის ხეობის დემილიტარიზაციას. ვაფასებთ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გამომჟღავნებულ თავშეკავებას კოდორის ხეობაში წესრიგის დამყარებისაკენ მიმართული ოპერაციის მიმდინარეობის დროს, მაგრამ დაძაბულობას აძლიერებს მათ მიერ ამ ბოლო დროს გამოთქმული მუქარები ძალის გამოყენებისა და ენგურჰესისათვის კავკასიონის ელექტროგადამცემი ხაზის გამორთვის შესახებ, ისევე როგორც მათ მიერ საქართველოს აფხაზეთის რეგიონში გარეთ მცხოვრები ე.წ. "მოხალისეების" სიტყვიერი შეგულიანება. დაჟინებით ვთხოვთ ორივე მხარეს სასწრაფოდ დაუბრუნდნენ საკოორდინაციო საბჭოს და განაახლონ მოლაპარაკებები კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ",** - აღნიშნულია დოკუმენტში.

ეუთო-ში აშშ-ის მისია იმოწმებს პრესაში გაკეთებულ განცხადებებს, რომლის თანახმად, აფხაზეთის რეგიონში იმყოფებიან რუსეთის ოფიცრები და მოხალისე კერძო პირები ჩრდილოეთ კავკასიიდან. არადა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1994 წლის ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნის თანახმად, აფხაზეთის საზღვრებს გარედან შემოსული მოხალისეების ყველა ფორმირება უნდა იყოს დაშლილი და გაყვანილი ამ ტერიტორიიდან. **"ეს განცხადებები და მუდმივი უკანონობა კონფლიქტის ზონის მთელ ტერიტორიაზე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სასწრაფოდ არის საჭირო საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის ძალების განლაგება. აშშ, უკვე გარკვეული პერიოდია, მხარს უჭერს ასეთი ზომის მიღებას",** - ნათქვამია განცხადებაში.

დოკუმენტში ასევე დაგმობილია 7 აგვისტოს ავნევის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან სამხრეთ ოსეთის რეგიონში მოქმედი ბანდიტების მიერ სამი ქართველი პოლიციელის დაჭრის ფაქტი. უფრო მეტიც, აშშ-ის დიპლომატიური მისია ძალზე შეშფოთებულია ეუთო-ს დამკვირვებლების მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, რომლებიც ეხებოდა მათ მიერ სოფელ ტბეთის მახლობლად სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მიერ ამოთხრილი სანგრების აღმოჩენის ფაქტს.

**"ეს შემთხვევები ხაზს უსვამს როკის გვირაბის საერთაშორისო მონიტორინგისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში ეუთო-ს დამკვირვებლების (იმ პირობით, რომ ეს დამკვირვებლები სათანადოდ იქნებიან დაცულნი) რიცხვის გაზრდის საჭიროებას. ეუთო-ს დამკვირვებლებს, როგორც ნეიტრალური მხარის წარმომადგენლებს, შეუძლიათ არსებული დაძაბულობის შემცირება, რადგანაც ისინი გააკეთებენ მოხსენებებს მთელ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მომხდარი დარღვევების შესახებ და დაადასტურებენ ადგილზე მიმდინარე მოვლენებს",** - აცხადებს ეუთო-ში აშშ-ის მისია. ამასთან, აშშ კვლავ ადასტურებს, რომ საჭიროა ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის რეგიონისათვის დამტკიცებული სამშვიდობო გეგმისა და აფხაზეთისთვის შემუშავებული "საგზაო რუქის" განხორციელება. აშშ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ორივე კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას საქართველოს საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

*24 საათი*

# ყველა თანახმაა ომი შეწყდეს

პირველი გვერდიდან

უშიშროების საბჭოს მიერ დოკუმენტის დამტკიცების მეორე დღესვე, ბეირუთში მთავრობის საგანგებო სხდომა გაიმართა, სადაც მოიწონეს მიღებული რეზოლუცია და იმედი გამოთქვეს, რომ ისრაელიც თანახმა იქნებოდა მისი პირობების შესრულებაზე. თვით "ჰეზბოლამაც" კი მზადყოფნა გამოთქვა დაემორჩილოს რეზოლუციის მოთხოვნებს. რადიკალური მოძრაობის ლიდერმა ჰასან ნასრალამ შაბათს განაცხადა, რომ მისი შეიარაღებული დაჯგუფება მზადაა მხარი დაუჭიროს ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებას, თუკი იგი გაერო-ს შუამავლობით დაიდება.

მას შემდეგ, რაც ისრაელის არმიამ, სავარაუდოდ, უკანასკნელი იერიში განახორციელა და ქვეყნის სიღრმეში კიდევ რამდენიმე კილომეტრით წაიწია წინ, კვირას იერუსალიმში ისრაელის მთავრობამ მოიწონა გაერო-ს მიერ შემუშავებული ცეცხლის შეწყვეტის გეგმა. "ესოშიეთედ პრესის" ცნობით, გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მინისტრთა კაბინეტის 24-მა წევრმა და მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი. თუმცა, როგორც ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ციპი ლივნი აცხადებს "ცაჰალის" ჯარისკაცები მხოლოდ მას შემდეგ დატოვებენ სამხრეთ ლიბანს, რაც იქ საერთაშორისო სამშვიდობო მისია განლაგდება.



"ცაჰალის" ჯარისკაცები მხოლოდ მას შემდეგ დატოვებენ სამხრეთ ლიბანს, რაც იქ საერთაშორისო სამშვიდობო მისია განლაგდება.

ერთადერთი, ვინც "აღტაცებაში" არ მოუყვანია გაერო-ს მიერ მიღებულ რეზოლუციას ოფიციალური თეირანია. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ დოკუმენტს "გაუწონასწორებელს" უწოდებს. საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ჰამიდ რეზა ასეფის განცხადებით, რეზოლუციის მიღების ერთი თვით გადადებამ "გაერო-ს უშიშროების საბჭოს ავტორიტეტს ზიანი მიაყენა". თუმცა, დიპლომატი იქვე დასძენს, რომ თეირანი მიესალმება ცეცხლის შეწყვეტას.

*24 საათი*

# ფიდელ კასტრო იუბილარია

13 აგვისტოს კუბის მმართველს ფიდელ კასტროს 80 წელი შეუსრულდა.

ამ დღესთან დაკავშირებით კუბის კომუნისტური პარტიის გაზეთმა "გრანმა" გამოაქვეყნა ფიდელ კასტროს მიმართვა ერისადმი, სადაც ის აცხადებს, რომ ძალზე ბედნიერია და მადლობას უხდის ყველას, ვინც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა და ყველას არწმუნებს, რომ გამოჯანმრთელებისთვის იბრძოლებს. მიუხედავად ყველაფრისა, კუბის ლიდერმა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდა იყვნენ ოპტიმისტები და, ამავრდოულად, მზად იყვნენ "ნებისმიერი ინფორმაციისთვის".

კასტროს დაბადების დღესთან დაკავშირებით კუბაში გარკვეული ღონისძიებებიც გაიმართა.

ინტერნეტში გავრცელებულ ფოტოებზე, ფიდელ კასტრო ტელეფონზე საუბრობს და გაზეთის ახალ ნომერსაც კითხულობს. ეს ფაქტი იმის დადასტურებაა, რომ ფოტოები მართლაც იუბილესთვის არის გადაღებული.

შეგახსენებთ, რომ პირველ აგვისტოს ფიდელ კასტრომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით მთელი ძალაუფლება საკუთარ ძმას რაულ კასტროს გადასცა. ფიდელ კასტრო კუბას სათავეში 1959 წელს ჩაუდგა.

*24 საათი*




## მოკლედ

### "გვახსოვს" ლოს-ანჯელესში

ფოტოგამოფენა სახელწოდებით "გვახსოვს" ("We Remeber!"), რომელიც აფხაზეთში ქართველთა გენოციდის ფაქტებს ასახავს, გუშინ აშშ-ში, ლოს-ანჯელესში გაიხსნა.

გამოფენის ორგანიზატორია საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი "აფხაზეთი" და მის მიზანს საერთაშორისო საზოგადოებისთვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და უცხოეთის რიგით მოქალაქეებში მხარდამჭერის მოპოვება წარმოადგენს.

ფოტოგამოფენა აფხაზური ბანდფორმირებებისა და რუსი სამხედროების მიერ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობისადმი განხორციელებულ არადაამიანურ ძალადობას ასახავს. გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოების დიდი ნაწილი თავად აფხაზი ბანდიტების მიერ არის გადაღებული.

ფოტოგამოფენა "გვახსოვს" გალერეა "კოპალაში" გასული წლის 27-29 სექტემბერს გაიმართა და ქართულ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. **ინტერპრესნიუსი**

### ოფიცრებს ბინები კერძო საკუთრებაში გადაეცემათ

შეიარაღებულ ძალებში შვიდი წლის სამსახურის შემდეგ, ოფიცრებს ბინები კერძო საკუთრებაში გადაეცემათ. "ეს საოცრად კარგი ტრადიციაა და ის უნდა გაგრძელდეს. ეს კეთდება იმისათვის, რომ მთელი ქვეყანა დაცული იყოს", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემისას.

პრეზიდენტმა თავდაცვის სამინისტროს, საარტილერიო ბრიგადის, სამხედრო პოლიციისა და საინჟინრო ბატალიონის 17 ოფიცერს საცხოვრებელი ბინები გადასცა. სამხედრო სამსახურში შვიდი წლის სამსახურის შემდეგ, ოფიცრებს ბინები კერძო საკუთრებაში გადაეცემათ.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 2007 წლის 26 მაისისთვის, როდესაც დასრულდება ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა გორში, კიდევ 300 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს ბინებს.

პრეზიდენტის თქმით, დამცირებული ოფიცერი ვერ შეძლებს საკუთარი ქვეყნის დაცვას, მაგრამ ოფიცერი, რომელსაც შეექმნება კარგი პირობები, ყველაფერს გააკეთებს საკუთარი სამშობლოს დასაცავად.

სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მას ელიტური ოფიცერთა კორპუსი ჰყავდეს, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ემზარ კვიციანი რუს ჟურნალისტს შესჩივის

რუსულმა გაზეთმა "ვერსიამ" სახელმწიფო ღალატისთვის ძებნილ ემზარ კვიციანთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც, გაზეთის კორესპონდენტის მტკიცებით, მან გუდაუთაში ჩაიწერა. "საქართველომ მეორე ჩეჩნეთი მიიღო", - ასე ეწოდება იმ ვრცელ სტატიას, რომელიც აფხაზეთში მივლინებულმა ჟურნალისტმა კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს მიუძღვნა.

აფხაზეთში ჩასულმა რუსმა ჟურნალისტმა, "უცნობი მეგობრების" დახმარებით, მოიპოვა ემზარ კვიციანის ტელეფონი და შეძლო მასთან დაკავშირება. ყოფილი გუბერნატორისა და ჟურნალისტის შეხვედრა გუდაუთაში შედგა.

კვიციანმა გაზეთ "ვერსიას" განუცხადა, რომ კოდორის მოვლენების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისში იმყოფებოდა. კოდორის ხეობის მოვლენებისას კი მოერიდა სისხლის დაღვრას და საქართველოს პოლიციური ძალები კოდორის ხეობაში შეუშვა. თუმცა, თუ უახლოეს მომავალში საქართველოს შეიარაღებული ქვედანაყოფები არ დატოვებენ კოდორის ხეობას, ის პარტიზანულ მოქმედებას დაიწყებს.

ყოფილი რწმუნებულის თქმით, "კოდორის ხეობაში უამრავი იარაღია".

რუს ჟურნალისტთან საუბრისას კვიციანმა საქართველოს ხელისუფლება სვანების გენოციდში დაადანაშაულა. "აფხაზებზე რუსები ზრუნავენ, ქართველებზე - ამერიკელები, სვანები კი არც ერთს სჭირდება და არც მეორეს", - შესჩივლა კვიაციანმა რუს ჟურნალისტს. **მედიანიუსი**

### ბრიტანელი მუსლიმების წერილი ტონი ბლერს

ბრიტანელ მუსლიმთა უმსხვილესი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში სასწრაფო ცვლილებების განხორციელებისკენ მოუწოდეს.

მუსულმანთა მიერ მიწერილ ღია წერილში აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ერაყსა და ლიბანში ბრიტანეთის მოქალაქეებს საფრთხის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ საკუთარ ქვეყანაშიც.

დღევანდელი პოლიტიკა ექსტრემიზმს უწყობს ხელს, აღნიშნულია წერილში.

ღია წერილს ხელს ოცდაათზე მეტი მუსულმანური ორგანიზაციის ლიდერი და მუსულმან-პარლამენტართა უმრავლესობა აწერს ხელს.

წერილის ავტორები ტონი ბლერს ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის გამკაცრებისკენ მოუწოდებენ.

ამასთან, ბრიტანეთის პოლიცია ტერაქტების მოწყობაში ეჭვმიტანილი 23 ადამიანის დაკითხვას განაგრძობს. 24-ე დაკავებული გათავისუფლებულია.

ეჭვმიტანილები ბრიტანეთის საპეცსამსახურებმა 10 აგვისტოს დააკავეს. მათი უმრავლესობა ლონდონში ცხოვრობს და ისლამურ გვარს ატარებს. ბოროტმოქმედები ატლანტიკის თავზე სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქებას გეგმავდნენ. ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთ სამიზნედ ის თვითმფრინავი უნდა გამხდარიყო, რომელიც რეისს ბრიტანეთიდან აშშ-ში შეასრულებდა. **ინტერპრესნიუსი**

### პუტინს სთხოვენ

დღეს, 14 აგვისტოს, აფხაზეთის ომის დაწყებიდან 14 წლის შემდეგ, სოხუმში ცხინვალსა და სიმფეროპოლში, "საქართველოს აგრესიის გამოვლინების წინააღმდეგ", მრავალრიცხოვანი მიტინგები და მსვლელობები ჩატარდება.

"სოხუმის, ცხინვალისა და ტირასპოლის ქუჩებში სამგლოვიარო ლენტებითა და დროშებით გამოვა ის ხალხი, რომლებმაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ახლობლები დაკარგეს", - განაცხადა ოსური ახალგაზრდული ფრონტის "პრორივ"-ის კოორდონატორმა ალექსეი დობიჩინმა.

მისივე განმარტებით, ყირიმელებიც, ისევე როგორც აფხაზები და ოსები, სააკაშვილის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვლენ და მსოფლიო საზოგადოებას ქართველი "კოვბოის" დასაშოშმინებლად მოუწოდებენ.

"აქციის მონაწილეები სამივე ქვეყანაში რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართვას შეიმუშავებენ, რომლითაც აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის აღიარებას თხოვენ", - დასძენს დობიჩინი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროს ახალი ემბლემის შექმნაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე,
2. ემბლემის გამოსახულება,
3. ემბლემის აღწერილობა,
4. იმ პრინციპების აღწერა, რომელიც ასახულია წარმოდგენილ ემბლემაში (სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ინტეგრაცია, იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის მიმართულებები და სხვა).

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს, იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის მიმართულებების გაცნობის მიზნით, შეუძლია იუსტიციის სამინისტროს დებულებას გაეცნოს ადგილზე (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა, რუსთაველის გამზ. N30), ან მოიძიოს სათანადო ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდზე - **www.justice.gov.ge**.

განაცხადი და თანდართული მასალა დალუქული კონვერტით, ემბლემის გამოსახულება და აღწერა, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 სექტემბრის 17.00. საათამდე.

კონვერტები გაიხსნება 2006 წლის 21 სექტემბერს 12.00. საათზე, საკონკურსო კომისიის მიერ, დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 30 სექტემბერს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ჯილდო - 350 ლარი.

შემოსული ნამუშევრები კონკურსის მონაწილეებს არ დაუბრუნდება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N 30, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა;

საკონტაქტო პირები: ლანა ოთიაშვილი ტელ.: 75 82 26;
მზია თიბილაშვილი ტელ.: 75 82 67.

# ოთხი თვე ქართული ღვინის გარეშე

## კიდევ რამდენი?

*4 თვის წინ რუსეთში აკრძალული ქართული ღვინის და მინერალური წყლის ამ ბაზარზე დაბრუნების თარიღი ჯერჯერობით ისევ ბუნდოვანია. თუმცა პერიოდულად გაისმის ინფორმაციები, რომ რუსული მხარე თანამშრომლობისთვის მზადაა და ეს კონფლიქტიც მალე დასრულდება. თუმცა მსგავს განცხადებებს მოსდევს ხოლმე გენადი ონიშენკოს საპასუხო განცხადებები, რომ საქართველოს ამისთვის ჯერ საბაბი არ მოუცია, შესაბამისად ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერ შორსაა. ასევე მოხდა რამდენიმე დღის წინ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის პრესკონფერენციის შემდეგ.*



საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, მან რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის მოადგილის წერილი მიიღო, რომელშიც რუსული მხარე თანამშრომლობაზე მზადყოფნას გამოთქვამდა. კერძოდ, მისივე თქმით, რუსეთიდან მიღებულ წერილში რუსეთის პოზიცია შერბილებულია, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს.

თუმცა ამის მიუხედავად უცვლელია ცნობილი გენადი ონიშენკოს პოზიცია ქართულ ღვინოებთან დაკავშირებით.

**"ალბათ ქართული მხარე იმ წერილს გულისხმობდა, რომელიც ჩემმა უწყებამ და არა მე მათი წერილის საპასუხოდ გააგზავნა. წერილში ქართულ მხარეს განვუმარტეთ, რომ მზად ვართ მოლაპარაკებების დასაწყებად, თუმცა არც კონკრეტული თარიღები და არც მოლაპარაკებების პირობები არ დაგვისახელებია",** - აღნიშნა ონიშენკომ რუსულ საინფორმაციო საშუალებებთან საუბარში. მისივე თქმით, ქართულ მხარესთან ღვინის თემაზე მოლაპარაკებების დაწყების თარიღის დასახელება ამ ეტაპზე აქტუალური არის.

ღვინის რუსულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტები კი უკვე დაიღალნენ ქართულ-რუსული "ღვინის კონფლიქტით" და მიიჩნევენ, რომ უკვე დროა ბაზარი იმპორტული პროდუქციით "გაცოცხლდეს". ცნობისათვის, 2006 წლის მარტიდან რუსეთში 2,4 მლნ ლიტრის მოლდოვური და ქართული ალკოჰოლური სასმელი განადგურდა.

*24 საათი*

### მოკლედ

#### ევროკავშირი მზად არ არის საქართველოს მიმართ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი გაავრცელოს

ევროკავშირი ჯერჯერობით მზად არ არის საქართველოს მიმართ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი გაავრცელოს. ეს საკითხი ორი დღის წინ, საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის ინიციატივით, მთავრობის სხდომაზე განიხილეს. ბეჟუაშვილის თქმით, ევროკავშირთან წარმოებულ მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მთავრობას ერთიანი პოზიცია და არგუმენტაცია ჰქონდეს ჩამოყალიბებული, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მნიშვნელობაზე როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის.

საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა ეს მოლაპარაკება შეაფასა როგორც რთული, მაგრამ საინტერესო. "საქართველოს გააჩნია მყარი არგუმენტაცია იმისა, თუ რატომ უნდა შეეხოს საქართველოს აღნიშნული რეჟიმი"-განაცხადა ბეჟუაშვილმა.

პარალელურად, ევროკავშირთან მიმდინარეობს მოლაპარაკება სოფლის მეურნეობისა და ღვინის პროდუქტების შესახებ შეთანხმებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, შემოდგომაზე, ფორმალური მოლაპარაკების პირველი რაუნდი გაიმართება. შეთანხმება ქართულ ღვინოსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას ევროპული ბაზრის თანაბარ მინაწილედ გახდის. "ევროკავშირი დაინტერსებულია, რომ საქართველოს სახით ლიბერალური ეკონომიკის მქონე კიდევ ერთი ბაზარი გაიხსნას", - აღნიშნა ბეჟუაშვილმა. სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი იმედოვნებს, რომ ევროკავშირთან, სოფლის მეურნეობისა და ღვინის პროდუქტების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკება ერთ წელიწადში დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

#### სავალუტო ფონდის მისია შეხვედრებს ფინანსთა სამინისტროდან იწყებს

თბილისში სამუშაო ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისია ოფიციალურ შეხვედრებს ორშაბათიდან დაიწყებს. როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში აცნობეს, პირველი შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან ლექსო ალექსიშვილთან, 14 აგვისტოს 10.00 საათზე გაიმართება. სსფ-ის დელეგაცია ჯონ ვეიკმან ლინის ხელმძღვანელობით თბილისს 10 აგვისტოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 19 აგვისტომდე გაგრძელდება, მისია შეაფასებს ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. შეხვედრებისას განიხილება ასევე სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის პროგრამის მიმდინარეობა. სსფ-ს წარმომადგენლები საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდებიან. შესაძლოა, შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთანაც შედგეს. ვიზიტის შედეგებს ვეიკმან ლინი 18 აგვისტოს პრესკონფერენციაზე შეაჯამებს. სსფ-ს 2004-2007 წლების პროგრამა საქართველოსთვის 144 მილიონი დოლარის (ან 98 SDR) 7 ნაწილად გამოყოფას ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში საქართველომ უკვე მიიღო 80.7 მილიონი დოლარი (56 მილიონი SDR). აღნიშნული თანხა ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად წარიმართა.

ამჟამად განიხილება მეოთხე ტრანშის გამოყოფის საკითხი და დაიწყება მოლაპარაკებები მეხუთე ტრანშთან დაკავშირებით. **ინტერპრესნიუსი**

**გაეროს განვითარების პროგრამა**

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს ტენდერს სარემონტო სამუშაოებზე. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო/სარემონტო კომპანიებს. სატენდერო პაკეტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წლის 01 სექტემბერი 18:00 საათი. შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე: **www.undp.org.ge**

# "თიბისი ბანკი" ახალგაზრდებს სტუდენტური სესხებით დაეხმარება

პირველი გვერდიდან

დანარჩენ აბიტურიენტებს, რომლებმაც ვერ მიიღეს სახელმწიფო გრანტი, ასევე შეუძლიათ აიღონ სტუდენტური სესხები. თუმცა, პირობები ამ შემთხვევაში ნაკლებად შეღავათიანია. ასეთი სესხის გაცემა მოხდება არა სტუდენტური სესხების მომსახურე ცენტრიდან, არამედ თიბისი ბანკის ფილიალებში. ამ სესხების პროცენტი 1 პროცენტიანით ნაკლებია სამომხმარებლო სესხების საპროცენტო განაკვეთებზე, ანუ მერყეობს 16 პროცენტიდან 23 პროცენტამდე.

სტუდენტური სესხის მინიმალური თანხაა 350 ლარი. მაქსიმალური თანხა კი არ უნდა აღემატებოდეს სწავლის სრულ ღირებულებას.

### რა კრიტერიუმებით გაიცემა აბიტურიენტებზე სტუდენტური სესხი?

სტუდენტებისათვის, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტი 100 პროცენტით ან 70 პროცენტით (ანუ პირველი და მეორე კატეგორიის სტუდენტებისათვის) თიბისი ბანკი არანაირ კრიტერიუმს არ აწესებს. ნებისმიერ ასეთ სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტური სესხი. ვინაიდან აბიტურიენტების ასაკი, როგორც წესი, 18 წელზე ნაკლებია, ქართული კანონმდებლობით მას არ აქვს ერთპიროვნულად საბანკო კრედიტის მიღების უფლება. სწორედ ამიტომ კრედიტის ხელშეკრულებას გარდა თავად აბიტურიენტისა, მისმა ერთ-ერთმა მშობელმაც უნდა მოაწეროს ხელი. თუმცა, მშობლის შემოსავლების მიმართ თიბისი ბანკს არანაირი დამატებითი მოთხოვნა არ გააჩნია.

სტუდენტებისათვის, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტი 50 პროცენტით ან 30 პროცენტით (ანუ მესამე და მეოთხე კატეგორიის სტუდენტებისათვის), თიბისი ბანკი დამატებით ითხოვს მათი მშობლების ან და-ძმის შემოსავლების არსებობას. ეს შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 300 ლარს თვეში. თუმცა იმ კლიენტებისათვის, რომლებსაც ხელფასი პირდაპირ თიბისი ბანკში ერიცხებათ, საკმარისია 200-ლარიანი ხელფასი.

სტუდენტებისათვის, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტი, უძრავი ქონების ან სხვა სახის გირაო არ მოითხოვება. III და IV კატეგორიის სტუდენტებისათვის საჭიროა მხოლოდ თანამსესხებლის შემოსავლების არსებობა.

ვინც ვერ მიიღეს სახელმწიფო გრანტი, თავად ვერ იქნებიან თიბისი ბანკის მსესხებლები. მათი სწავლის დასაფინანსებლად სესხი მშობლებმა ან ოჯახის სხვა წევრებმა უნდა აიღონ. ამ პირების მინიმალური ყოველთვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს 600 ლარს.

თიბისი ბანკი აბიტურიენტებზე სესხებს თბილისის გარდა გასცემს ყველა რეგიონალურ ფილიალში - რუსთავში, თელავში, ბორჯომში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში. რეგიონებში სესხის აღების პროცედურა აბიტურიენტისათვის არაფრით არ განსხვავდება თბილისისაგან.

### რა შეღავათებია დაწესებული აბიტურიენტებისათვის სტუდენტური სესხის აღებისას?

მთავარი შეღავათი არის ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთი. თანაც სესხი ლარში გაიცემა. 14-პროცენტიანი სესხები ლარში კი ნამდვილად უპრეცედენტოა საქართველოში.

დამატებით ბანკი აძლევს საჩუქრად სტუდენტური სესხის მფლობელს ვიზა ჩიპურ ელექტრონ ბარათს, რომლითაც შემდგომში ძალიან მოხერხებული იქნება სესხის დაფარვა არა მარტო ფილიალებში, არამედ თიბისი ბანკის ბანკომატებიდანაც (თიბისი ბანკის ბანკომატებიდან არა მხოლოდ თანხის გატანა, არამედ შეტანაც არის შესაძლებელი). ბარათის მიღება აბიტურიენტს შეუძლია სტუდენტური სესხის გაცემიდან მეორე დღეს ბანკის იმ ფილიალში, რომელიც სტუდენტმა აირჩია საკუთარ მომსახურე ფილიალად. ბარათის მიღება შესაძლებელია სესხის დაფარვისათვის ბანკში პირველი ვიზიტის დროსაც.

კიდევ ერთი საჩუქარი სტუდენტური სესხის მფლობელთათვის - ეს არის ინტერნეტ ბანკი, რომლითაც სტუდენტები შესძლებენ თავიანთი საბანკო ანგარიშების კონტროლს, სესხის დისტანციურ მართვას და ა.შ.

### რა საბუთები უნდა წარმოადგინოთ სტუდენტური სესხის მისაღებად?

I და II რეიტინგის აბიტურიენტებისათვის წარმოსადგენია:

- სტუდენტის პირადობის მოწმობა
- გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სახელმწიფო გრანტის მიღების დამადასტურებელი სერტიფიკატი
- სასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება (რომელშიც მითითებული უნდა იყოს სასწავლებლის რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს სესხის თანხის გადარიცხვა)

III და IV რეიტინგის აბიტურიენტებისათვის წარმოსადგენია:

- სტუდენტის და თანამსესხებლის (მშობლის, დედმამიშვილის) პირადობის მოწმობები
- გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სახელმწიფო გრანტის მიღების დამადასტურებელი სერტიფიკატი
- სასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება (რომელშიც მითითებული უნდა იყოს სასწავლებლის რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს სესხის თანხის გადარიცხვა)
- ცნობა თანამსესხებლის სამსახურიდან ხელფასის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელფასი თიბისი ბანკში ირიცხება)
- თანამსესხებლის სამუშაო ადგილიდან სარეკომენდაციო წერილი (შესაძლებელია ზეპირი რეკომენდაცია)

სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ მიიღეს სახელმწიფო გრანტი, წარმოსადგენია:

- მსესხებლის (სტუდენტის მშობლის, დედმამიშვილის ან სხვა ოჯახის წევრის) პირადობის მოწმობა
- სასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება (რომელშიც მითითებული უნდა იყოს სასწავლებლის რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს სესხის თანხის გადარიცხვა)
- მსესხებლის შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსესხებლის ხელფასი თიბისი ბანკში ირიცხება)
- მსესხებლის სამუშაო ადგილიდან სარეკომენდაციო წერილი (შესაძლებელია ზეპირი რეკომენდაცია)

### როგორია სტუდენტური სესხის გაცემის და დაფარვის გრაფიკი?

თავდაპირველად სესხის გაცემა ხდება 1 წლის ვადით. სესხის დაფარვა კი წარმოებს ყოველთვიურად, თანაბარ წილებად (ძირითადი თანხა + პროცენტი). ინსტიტუტში თანხის გადარიცხვა ხდება სტუდენტსა და ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ სემესტრების მიხედვით.

მომდევნო წელს სესხის გაცემა მოხდება დამატებითი სესხის დამტკიცების პროცედურის გარეშე. ამისათვის აუცილებელია სტუდენტმა ბანკში წარმოადგინოს სასწავლებლიდან მომდევნო კურსზე გადასვლის დამადასტურებელი საბუთი.

ანუ, 4-წლიანი სწავლის პირობებში სესხი გაიცემა ეტაპობრივად, წელიწადში ერთხელ. ასეთი სესხის გრაფიკი საშუალებას იძლევა, რომ სტუდენტის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხა მინიმალური იყოს.

ზოგ შემთხვევაში სტუდენტს, რომელმაც მიიღო 100%-იანი სახელმწიფო გრანტი, მაინც შეიძლება დასჭირდეს სტუდენტური სესხი. სახელმწიფო აფინანსებს წელიწადში მაქსიმუმ 1500 ლარს. ეს კი ნიშნავს, რომ თუ სტუდენტი აბარებს სასწავლებელში, რომელშიც სწავლის ღირებულება აღემატება წელიწადში 1500 ლარს, მას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი დაფინანსება. მნიშვნელოვანია, რომ თიბისი ბანკი ასეთ სტუდენტებს განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებით აკრედიტებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტის მიერ გადასახდელი თანხები (ლარებში).

სტუდენტებისათვის, რომლებმაც არ მიიღეს სახელმწიფო გრანტი, ცხრილი შემდეგნაირია (ლარებში):

| სესხის თანხა (1 წლის სწავლის გადასახადი) | 500 | 1000 | 1500 | 2000 | 2500 | 3000 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სესხის გაცემის და საკრედიტო ბიუროს მომსახურების ერთჯერადი საკომისიო | 30 | 30 | 30 | 30 | 35 | 40 |
| ყოველთვიურად გადასახდელი თანხა (14%) | 45 | 90 | 135 | 180 | 224 | 269 |
| ყოველთვიურად გადასახდელი თანხა (18%) | 46 | 92 | 138 | 183 | 229 | 275 |

| სესხის თანხა (1 წლის სწავლის გადასახადი) | 500 | 1000 | 1500 | 2000 | 2500 | 3000 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სესხის გაცემის და საკრედიტო ბიუროს მომსახურების ერთჯერადი საკომისიო | 65 | 65 | 65 | 65 | 65 | 65 |
| ყოველთვიურად გადასახდელი თანხა (16%) | 45 | 91 | 136 | 181 | 227 | 272 |
| ყოველთვიურად გადასახდელი თანხა (23%) | 47 | 94 | 141 | 188 | 235 | 282 |

# "ვარციხეჰესის" არაფორმალურ კონკურსში ბრიტანულმა "სტემოკრმა" გაიმარჯვა

## მესაკუთრეს "ჭიათურმანგანუმის" შეძენაც სურს

*ერთხელ უკვე გაყიდული "ვარციხეჰესების კასკადის" ახალი მფლობელი ბრიტანული "სტემკორი" ხდება. ინვესტორმა, რომელსაც ჰიდროელექტროსადგურში პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა, 57 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაიხადოს. გარიგება ბრიტანელ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის სავარაუდოდ სექტემბერში დასრულდება.*

მარიამ ჭაჭვაძე

ბრიტანული "სტემკორი" (STEMCOR) საქართველოში ამ რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა და მან ზესტაფონის "ფერშენადნობი ქარხნის" ერთი ნაწილი შეიძინა. ამ საწარმოს მიერ ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება დღეისათვის 63 მილიონ ლარს აღწევს, რასაც "სტემკორი" აღიარებს და მისი სრულად დაფარვის პირობასაც დებს.

მალე ბრიტანული კომპანია "ვარციხეჰესის" აქციების 100 პროცენტსაც დაისაკუთრებს, რის სანაცვლოდაც მან ბიუჯეტს 57 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს.

თუ რატომ მიეყიდა "სტემკორს" "ვარციხეჰესების კასკადის" პირდაპირი მიყიდვის წესით, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე "24 საათთან" საუბრის დროს ასე განმარტავს: **"ჩვენ, ფაქტობრივად, გვქონდა არაფორმალური კონკურსი გამოცხადებული "ვარციხეჰესზე" და აქტიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ყველა იმ პოტენციურ ინვესტორთან, რომელიც შესაძლოა ჰესის მესაკუთრე გამხდარიყო. ამ მოლაპარაკებების დროს გამოიკვეთა, რომ "სტემკორი" ყველაზე ბევრს იხდიდა, ვიდრე სხვა დანარჩენი".**

მინისტრი ჩოგოვაძე არაფორმალურ კონკურსში იმას გულისხმობს, რომ ხელისუფლებას ოფიციალურად არ ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი "ვარციხეჰესზე", ანუ ჰესის გაყიდვის შესახებ განცხადება არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ყოფილა გამოქვეყნებული და არც რომელიმე ადგილობრივ თუ უცხოურ პრესაში.

რამდენად უწყობს ხელს ასეთი არაფორმალური კონკურსები პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობას ხელს? ვინ და რა არის გარანტი იმის, რომ ამ შემთხვევაში პრივატიზაცია ობიექტურად ჩატარდა? ეს არის ის კითხვები, რომელიც საზოგადოებაში ლოგიკურად იბადება და რომელზედაც ხელისუფლება ვალდებულია ამომწურავი პასუხები გასცეს. ჯერჯერობით არც ერთ შესაბამის პირს საჯაროდ ამ საკითხებზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მანამდე კი ის ირკვევა, რომ "სტემკორი" "ვარციხეჰესის" შემდეგ "ჭიათურმანგანუმის" შეძენასაც აპირებს. ყოველ შემთხვევაში მას ამისი დიდი სურვილი აქვს, თუმცა ამჯერად, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განმარტავენ "ჭიათურმანგანუმი" პირდაპირი მიყიდვის წესით არ გაიყიდება. სამინისტროს მისი კონკურსის წესით გაყიდვა აქვს განზრახული. ანუ ინვესტორმა უკეთეს პირობებთან ერთად საუკეთესო ფასი უნდა შესთავაზოს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "ჭიათურმანგანუმის" საწყის ფასად 20 მილიონ აშშ დოლარს ასახელებს. სამინისტროს ერთ-ერთი პირობაა, რომ საწარმოს დღემდე არსებული კრედიტორული დავალიანება 72 მილიონი ლარი ახალმა ინვესტორმა თავად გაისტუმროს, მათ



შორის 42 მილიონი ლარი ბიუჯეტის მიმართ.

ბრიტანული "სტემკორი" აღიარებს საწარმოს დავალიანებას ბიუჯეტის მიმართ და მზად არის ობიექტის ღირებულებასთან ერთად ეს დავალიანებაც ბოლო თეთრამდე დაფაროს.

"ჭიათურმანგანუმს" 3 მილიონ ლარამდე დებიტორული დავალიანებაც გააჩნდა, თუმცა როგორც საწარმოს დირექციაში ამბობენ, ეს ვალი უიმედო იყო და ცოტა ხნის წინ ჩამოწერეს კიდეც.

სახელმწიფოს წილი "ჭიათურმანგანუმში" 85 პროცენტია, 11 პროცენტი ამერიკული კომპანია "ინდუსტრია კაპიტალის" საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენი 4 პროცენტი საწარმოს კოლექტივის საკუთრებაა. უკანასკნელი მონაცემებით, საწარმოში 4500-მდე თანამშრომელი მუშაობს.

"ჭიათურმანგანუმი" 2003 წლის შემდეგ, ფაქტობრივად, ექსპორტს აღარ აწარმოებს, რადგან, როგორც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იანდი შეყილაძემ "24 საათს" განუცხადა, "ჭიათურმანგანუმი" ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ძლივს ახერხებს. საწარმოს პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი ზესტაფონის ფეროა.

მინისტრის განცხადებით, "სტემკორთან" ხელშეკრულების გაფორმება სექტემბრის ბოლოს იგეგმება. ჩოგოვაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არის ძალიან პოზიტიური ნაბიჯი დასავლეთ საქართველოსთვის. **"შეთანხმება განაპირობებს ჭიათურის განვითარებასა და დიდი მოცულობის ინვესტიციების ჩადებას იმერეთის რეგიონში",** - აღნიშნა მინისტრმა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძის თქმით ბრიტანული "სტემკორი" არის ლიდერი კომპანია ლითონების ვაჭრობის დარგში.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის გაზაფხულზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "ჭიათურმანგანუმი", "ვარციხეჰესთან" ერთად, კონკურსში გამარჯვებულ რუსულ კომპანიას, რუსეთის ყველაზე დიდი მასშტაბის ფოლადის მწარმოებელს "ევრაზია ჰოლდინგს" გადასცა. რუსებს ბიუჯეტში 132 მილიონი ლარი უნდა ჩაერიცხათ, თუმცა მოგვიანებით რუსულმა კომპანიამ გადაწყვეტილება იმ საბაბით შეცვალა, რომ თითქოს მსოფლიოში მანგანუმის ფასი დაეცა და ახალი შენაძენი "ჭიათურმანგანუმის" ქარხნის აღდგენისთვის საჭირო დანახარჯებს აღარ გაამართლებდა. რუსულ "ევრაზიაჰოლდინგს" იმ დროისთვის საგარანტიო თანხის სახით 20 მილიონი აშშ დოლარი ჰქონდა გადახდილი, რომელიც, როგორც დღეს ირკვევა, მთლიანად ბიუჯეტში შევა.

# ამერიკული ხანა დასრულდა

## მძიმე წონაში ყოფილი საბჭოთა კავშირი გაბატონდა

ბიგა ბურასაშვილი

*დრო: შაბათისა და კვირის გასაყარი. ადგილი: კრივის მექა, ლას ვეგასი. ბრძოლის ველი: "ტომას & მაკ სენთერი". მოქმედი გმირები: მძიმე წონაში ამერიკელთა უკანასკნელი მოჰიკანი WBC მსოფლიოს ჩემპიონი აფრო-ამერიკელი ჰასიმ რაჰმანი. ტიტულის მოცილე ყაზახეთში დაბადებული და 1995 წელს ოკეანის გაღმა გადაბარგებული წითელი არმიის ყოფილი ოფიცერი ოლეგ მასკაევი. და კიდევ, 12 რაუნდს გაგრძელებული ჩხუბი და ამერიკელთა მომტირალი სახეები.*

1999 წელი იყო, როდესაც მასკაევმა ძლიერი დარტყმით რაჰმანი რინგიდან გადააგდო. და აი, შვიდი წლის შემდეგ რაჰმანი VS მასკაევმა ახალი დატვირთვა შეიძინა.

მოხდა ის, რაც ბევრს არ სურდა: მძიმეწონოსანთა ეშელონის ოთხივე საჩემპიონო ქამარი აღმოსავლეთის ბლოკის ხელშია.

რაჰმანისა და მასკაევის დაპირისპირებას ელოდნენ არა იმიტომ, რომ ამერიკელი იყო დიდი ვინმე ან ყაზახი. არამედ იმიტომ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ბლოკებს შორის მძიმეწონას ეულად შემორჩენილი კრივის მსოფლიოს საბჭოს ყველაზე პრესტიჟული საჩემპიონო ქამარი იყო გასათამაშებელი.



*რაჰმანმა ამერიკას იმედი გაუცრუა.*

ამერიკელს არც დაუმალავს, რომ მასკაევთან ჩხუბს განიხილავდა რევანშად. აი, ოლეგისთვის კი ლას ვეგასურ დაპირისპირებას ის დატვირთვა ჰქონდა, რომ საკუთარი კარიერის განმავლობაში, პირველად ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა ჩემპიონობას და რომ წაგების შემთხვევაში შესაძლოა, აღარც ღირსებოდა ასეთი შესაძლებლობა.

ამერიკელმა ტიტულის დასაცავად მზადების განმავლობაში გვარიანად ღვარა ოფლი და ზედმიწევნით შეისწავლა მეტოქე. ამასთან მის წისქვილზე ასხამდა წყალს ისიც, რომ ამერიკელის მხარეს იყო სისწრაფე და შესაშური ამტანობა. და საერთოდ, გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, უფრო სწორად, საყაიმო ანგარიშთან. მაგრამ მე-12 რაუნდში ყველაფერი თავდაყირა დადგა, მანმდე კი...

საწყისი ხუთი რაუნდი მეტნაკლებად მასკაევისა იყო. აი, მერე აშკარად დაეტყო, რომ ძალღონე ეცლებოდა, ამერიკელი კი შეტევებს ამძაფრებდა, ხოლო აქცენტს მარცხენა ჯებზე აკეთებდა.

მე-11 რაუნდში თითქოს გონს მოეგოო მასკაევი, მეტოქეზე შეტევები გააძლიერა. თუმცა შემდგომ განვითარებულმა სიუჟეტმა ცხადყო, რომ ყოველივე მხოლოდ პრელუდია იყო.

სხვათა შორის, დასკვნითი რაუნდის წინ სამიდან ორმა მსაჯმა უპირატესობა მიანიჭა მასკაევს - 106-103 და 105-104. მესამე მსაჯი იყო ერთადერთი, რომელსაც კოლეგებისგან განსხვავებით უკეთ მოხვდა თვალში რაჰმანის მუშტები - 106-103. აქედან გამომდინარე, მოქმედი ჩემპიონი კიდევ ინარჩუნებდა საყაიმო ანგარიშის შანსებს, რაც მას ტიტულს შეანარჩუნებდა კიდეც, მაგრამ...

მასკაევის გარემოცვიდან ვიღაცამ ყაზახ მოკრივეს შეუძახა: "Давай, Олег. За маму, за папу, за дочерей, за Родину...". რთული სათქმელია, მასკაევი მე-12 რაუნდის წინ შეძახილმა გაამხნევა თუ მწვრთნელის შეგონებებმა, მაგრამ ფაქტია, ბოლო რაუნდში ყაზახმა თავი გადადო.

დასკვნით რაუნდში რაჰმანს რეფერის მოთხოვნისამებრ ხელთათმანებში აბურდული ლეიკოპლასტირი მოაჭრეს. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩხუბი განახლდა ერთმანეთს მორიგეობით უბარტყუნეს. მერე კი ოლეგმა კარგი კომბინაცია ჩაატარა, რასაც ის მოჰყვა, რომ მასკაევმა რაჰმანი რინგზე გაშხლართა. ამერიკელს ეტყობოდა, რომ გვარიანად დარეტიანებულიყო, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ ფეხზე წამოდგა და ორთაბრძოლა განაახლა. ყაზახმაც, სანამ გონს მოსულაო, ჯერ კიდევ ჩემპიონს მუშტების კორიანტელი დააყარა. რაჰმანს ისღა დარჩენოდა, მეტოქეს ორივე ხელით ჩაბღაუჭებოდა, რათა მეორედ არ დაცემულიყო რინგზე. ცხადი იყო, ამერიკელის საქმე წასული იყო. ოლეგმა უმწეოდ მყოფ მეტოქეს დარტყმათა სერია მიაყენა. შეხვედრის რეფერი ჯეი ნედი იძულებული გახდა ორთაბრძოლა შეეჩერებინა. მართალია, იმჟამად რაჰმანი ფეხზე იდგა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ნოკდაუნის მდგომარეობაში.

ერთი სიტყვით, ოლეგ მასკაევმა (33 გამარჯვება, აქედან 26 ნოკაუტით და ხუთიც წაგება) ტექნიკური ნოკაუტით იმარჯვა და პირველად დაეუფლა ჩემპიონის ტიტულს.

"ვამაყობ ჩემი ფესვებით, მაგრამ საკუთარ თავს მივიჩნევ რუს-ამრიკელად, - ორთაბრძოლის შემდეგ აცხადებდა მასკაევი. - ყველამ გაითვალისწინეთ, რომ ევროპელი მოჩხუბრები არიან უძლიერესები".

*(მიუხედავად იმისა, რომ მასკაევი რუსეთის დროშის ქვეშ ასპარეზობს, ის აშშ-ის მოქალაქეა. მეტიც, საკუთარ თავს მძიმეწონის ერთადერთ ამერიკელ ჩემპიონადაც კი მიიჩნევს. რედ.)*

"იმედგაცრუებული ვარ. ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ლას ვეგასიდან წაიღებდა, - აცხადებდა რაჰმანი (41 გამარჯვება, აქედან 33 ნოკაუტით, 6 წაგება და ორიც ფრე) ისღა დამრჩენია, ჩანაწერს ვუყურო და ვნახო, რას ვაკეთებდი არასწორად".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## სამინისტროს საქმიანობა: ივლისი 2006
## საინფორმაციო ბიულეტენი

**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**
**თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ: 95 72 06, ფაქსი: 969 831 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge**

| | |
|---|---|
| 05 | მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა. წელს სასკოლო ოლიმპიადა ახალი ფორმატით ჩატარდა. მონაწილე გუნდებს სამოქალაქო განათლების, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ადგილობრივი განვითარების თემებზე ინტეგრირებული პროექტები უნდა წარმოედგინათ. სულ ოლიმპიადაში მონაწილეობდა 1900-მდე მოსწავლე და 530-მდე მასწავლებელმა მიიღო. |
| 06 | კომპანია "ელიტ-ელექტრონიქსმა" სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულები დააჯილდოვა. საგნობრივ კონკურსებში გამარჯვებულ 15 მოსწავლესა და 15 მასწავლებელს ყოველთვიური 80 ლარიანი სტიპენდია დაენიშნათ. გუნდურ პროექტებში გამარჯვებულ 18-ივე გუნდს პერსონალური კომპიუტერები გადაეცა. |
| 06 | თბილისის მერმა გიგი უგულავამ და მინისტის მოადგილე თემურ სამადაშვილმა თბილისის რამდენიმე სკოლაში სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობა შეამოწმეს. პროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში წელს საქართველოში 57 სკოლის მშენებლობა დაიწყო, პროგრამის ფარგლებში 247 ( მათ შორის, თბილისის 115) სკოლაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. |
| 07 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) ერთობლივ კონკურსში "განათლების მიღება განათლების სისტემისათვის" 6 გამარჯვებული გამოვლინდა. გამარჯვებულები 2006-2008 წლებში აშშ-ს წამყვან ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში განათლების მაგისტრის აკადემიურ ხარისხს მოიპოვებენ. კონკურსის პირობების თანახმად, აშშ-დან დაბრუნებული მაგისტრები სულ მცირე 3 წლის განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემაში იმუშავებენ. პროგრამის ფარგლებში 2007-2009 წლებში აშშ წამყვანი უნივერსიტეტებში განათლების სამაგისტრო პროგრამას კიდევ 12 ახალგაზრდა გაივლის. |
| 11-12 | დაიწყო ერთიანი ეროვნული გამოცდები. წელს გამოცდებში 32 791 (შარშანდელზე 5%-ით მეტი) აბიტურიენტი დარეგისტრირდა. ამათგან, აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში 19 699 ჩაირიცხება. მთელი ქვეყნის მასშტაბით 14 საგამოცდო ცენტრი გაიხსნა. პირველი გამოცდა - ქართულ ენასა და ლიტერატურაში 4 ნაკადად ჩატარდა. 32 791 რეგისტრირებული აბიტურიენტიდან გამოცდაზე 32 040 გამოცხადდა, რითაც დასწრების შარშანდელზე მაღალი მაჩვენებელი - 98% დაფიქსირდა. |
| 12 | გაიმართა ბანკი "რესპუბლიკის" სტუდენტური სესხების პროგრამის პრეზენტაცია. ამ პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტებს, რომლებიც 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%, 70% და 50% დაფინანსებას მიიღებენ შესაძლებლობა მიეცემათ აიღონ კრედიტი. კრედიტის დაფარვა დაიწყება საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ანუ სესხებიდან 4,5 წლის შემდეგ, ხოლო დაფარვის ვადა კიდევ კიდევ 5 წლის განმავლობაში გაგრძელდება. |
| 13 14 | ჩატარდა გამოცდა ზოგად უნარებში. გამოცდაზე დასწრების მაჩვენებელი 98%-ია. 2006 წელს სახელმწიფო დაფინანსება სწორედ ამ გამოცდის შედეგების საფუძველზე გაიცემა. |
| 13 | მინისტრი ალექსანდრე ლომაია გორის საგამოცდო ცენტრში ზოგადი უნარების გამოცდის მიმდინარეობას დაესწრო. მინისტრმა ასევე მოინახულა გორის მე-2 და მე-3 საჯარო სკოლები, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა შეამოწმა. გორის მე-3 საჯარო სკოლაში სრული რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 994 915 ლარია გამოყოფილი. წელს პროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში გორის 13 საჯარო სკოლიდან 11 გარემონტდება. |
| 17-19 | ჩატარდა გამოცდა უცხოურ ენებში. გამოცდას 31 593 აბიტურიენტი, მათ შორის ინგლისური ენის გამოცდას 56%, რუსული ენის გამოცდას 26%, გერმანული ენის გამოცდა 14%, ხოლო ფრანგული ენის გამოცდას 4% აბარებდა. დასწრების მაჩვენებელი 98%-ია. |
| 19 | მინისტრი ალექსანდრე ლომაია თელავის საგამოცდო ცენტრში უცხო ენის გამოცდის მიმდინარეობას დაესწრო. მინისტრმა ასევე მოინახულა თელავის პირველი საჯარო სკოლა. პროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში პირველი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 350 500 ლარია გამოყოფილი. მიმდინარეობს თელავის 6 სკოლის რეაბილიტაცია, ამისთვის ბიუჯეტში 850 000 ლარია გათვალისწინებული. |
| 19 | მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და წამყვანი სამშენებლო კომაპანიების წარმომადგენლებმა პროფესიული განათლების ცენტრების კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების პერსპექტივები განიხილეს. 2006 წლის შემოდგომაზე თბილისსა და რეგიონებში იხსნება პროფესიული განათლების 9 ცენტრი, სადაც სპეციალისტები მომზადდებიან ძირითადად ამერიკული პროგრამებით, ხუთი პრიორიტეტული, მათ შორის მშენებლობის, მიმართულებით. სამშენებლო კომპანიებთან ერთად მოხდება ის პროფესიული კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი, რათა დასაქმდეს შრომის ბაზარზე. |
| 20 | ჩატარდა გამოცდა მათემატიკაში, რომელიც წელს 10089 აბიტურიენტმა ჩააბარა. |
| 21 | ჩატარდა გამოცდა ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. წელს ეს ტესტი შესაბამისი პროფილის მქონე ფაკულტეტებმა პირველად აირჩიეს. ტესტი ამოწმებს აბიტურიენტების მიერ საქართველოს ისტორიის, ეკონომიკური გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების საკითხების ცოდნას. |
| 21 | გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა კანონპროექტი "პროფესიული განათლების შესახებ". კანონპროექტი ემყარება პრინციპს სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში. კანონპროექტი პროფესიული მომზადებას ორ ჯგუფად ყოფს: სახელობო უმაღლეს განათლებად და პროფესიულ უმაღლეს განათლებად. (www.mes.gov.ge). |
| 24 | ჩატარდა გამოცდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. წელს ეს ტესტი შესაბამისი პროფილის მქონე ფაკულტეტებმა პირველად აირჩიეს. ტესტი ამოწმებს აბიტურიენტების მიერ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საკითხების ცოდნას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდაში 1075 აბიტურიენტი მონაწილეობდა. |
| 25 | ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველი ეტაპი დასრულდა. საპრეტენზიო საბჭოში შევიდა 29 განაცხადი (შარშან - 44). უცხოელ აბიტურიენტთა კვოტების ფარგლებში განაცხადი 250-მდე (შარშანდელზე 2-ჯერ მეტმა) უცხოელმა მოქალაქემ გააკეთა. |
| 25 | სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 1030 მეცნიერ-თანამშრომელსა და პროფესორ-მასწავლებელს დაენიშნა. |
| 26 | INTAS-ის ახალგაზრდა მეცნიერთა IV წერითი კონკურსის გამარჯვებული და I პრემიის მფლობელი 32 წლის ქართველი მკვლევარი გიორგი ღვედაშვილი გახდა. კონკურსში 25 ახალგაზრდა მეცნიერი მონაწილეობდა რუსეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, ყირგიზეთიდან, უკრაინიდან და უზბეკეთიდან. www.intas.be |
| 27 | ერთიან ეროვნულ გამოცდებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები "საერთაშორისო გამჭირვალობამ" და "ამერიკულმა საბჭოებმა" წარმოადგინეს და გამოცდების მიმდინარეობა დადებითად შეაფასეს. მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხეს 2 242 აბიტურიენტი და ამდენივე მშობელი. გამოკითხულთა 75%-ის აზრით, გამოცდების ახალი სისტემა კორუფციის შემცირებას უწყობს ხელს. |
| 27 | თბილისის მერმა გიგი უგულავამ და მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილმა თბილისის 161-ე სკოლას ახალი სასკოლო მერხები და სკამების გადასცეს. პროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში წელს ახალი სასკოლო ინვენტარით აღიჭურვება დედაწალაქის ყველა სკოლა, აგრეთვე 30 000 მერხითა და სკამით აღიჭურვება რეგიონების ის 62 სკოლა, რომლის სრული რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. სამინისტრომ მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 3 სხვადასხვა გაბარიტის მერხისა და სკამის განსაზღვრისას ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები გაითვალისწინა. |
| 31 | შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე ზოგადი უნარების გამოცდის პასუხების ფურცლების ასლები და შედეგები განთავსდა. ასლის ნახვისა და ამობეჭდვისათვის აბიტურიენტი საძიებო სისტემაში სახელს, გვარს და პლასტიკურ ბარათში მითითებულ ინდივიდუალურ კოდს უთითებს. საგამოცდო ცენტრები მოემსახურებიან მათ, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმიუწვდომელია. |
| კანონმდებლობა | ❖ ***განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №641 ბრძანებით "ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში" ცვლილებები შევიდა*** *ცვლილებები გულისხმობს სიახლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზაციის, რანჟირების, საგამოცდო ქულების მოქმედების ვადისა და მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების წესში და მიზნად ისახავს საგამოცდო სისტემის მეტი ეფექტურობისა და მოქნილობის უზრუნველყოფას ("საკანონმდებლო მაცნე" №89; (03.07.06);* <br> ❖ ***განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №703 ბრძანებით სსიპ-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისმართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების დებულებაში (ბრძანება №721) ცვლილება შევიდა*** *("საკანონმდებლო მაცნე" №96; (21.07.06);* <br> ❖ ***განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №704 ბრძანებით ექსტერნატის ფორმით განათლების სერტიფიცირების დებულებაში (ბრძანება №452) ცვლილება შევიდა*** *("საკანონმდებლო მაცნე" №96; (21.07.06);* <br> ❖ ***განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №714 ბრძანებით დამტკიცდა "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება*** *("საკანონმდებლო მაცნე" №98; (25.07.06);* <br> ❖ ***საქართველოს მთავრობის №121 დადგენილებით განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობები*** *(მაქსიმალური-1500; საშუალო - 1250; მინიმალური-1000)("საკანონმდებლო მაცნე" №89; (03.07.06);* <br> ❖ ***საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა 2006/2007 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ოდენობა და პირობები.*** *ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 390 000 ლარია გამოყოფილი. წელს ამ პროგრამის ფარგლებში 260 სოციალური ხასიათის გრანტია გათვალისწინებული.* <br> ***განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №661 ბრძანებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2006-2007 სასწავლო წელს 1-ლ კლასში ჩასარიცხ ბავშვთა მინიმალური ასაკი განისაზღვრა.*** *ჩასარიცხ ბავშვთა ასაკი2000 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დაბადებული ბავშვებით შემოიფარგლა ("საკანონმდებლო მაცნე" №92; (18.07.06);* |

**გასული თვეების საინფორმაციო ბიულეტენები განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge**

---

# "ხუთჯვაროსნებს" შაშიაშვილი შეემატა

მიხეილ აბაიშვილი

16 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში აიღებს სტარტს. პირველ შეხვედრას ჩვენი გუნდი ფარერის კუნძულებზე, ამ მინისახელმწიფოს ნაკრებთან გამართავს. გუშინ, 13 აგვისტოს, კლაუს ტოპმიოლერის მიერ გამოძახებულმა ფეხბურთელებმა კოპენჰაგენში ჩასვლა დაიწყეს. დანიის დედაქალაქში "ხუთჯვაროსნები" ორი დღით დარჩებიან, სადაც საწვრთნელ შეკრებას გამართავენ. თამაშის დღეს ნაკრები ფარერებზე გადაინაცვლებს, სადაც მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. კუნძულელ ვიკინგებთან დასაპირისპირებლად საქართველოს ნაკრების გერმანელმა მთავარმა მწვრთნელმა შემდეგი შემადგენლობა შეარჩია:

**მეკარეები** - გიორგი ლომაია ("ლუჩ ენერგია", რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია ("ზესტაფონი")

**მცველები** - დავით კვირკველია ("მეტალურგი", უკრაინა), კახა ალადაშვილი ("დნიპრო", უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი", ინგლისი), ლაშა სალუქვაძე ("რუბინი", რუსეთი), ილია კანდელაკი ("ჩერნომორეცი", უკრაინა), დავით იმედაშვილი ("დინამო", უკრაინა)

**ნახევარმცველები** - გოგა გახოკიძე ("ტვენტე", ჰოლანდია), ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი ("შინიკი", რუსეთი), ჯაბა კანკავა ("არსენალი", უკრაინა), დავით მუჯირი ("კრილია სოვეტოვი", რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი ("პანიონიოსი", საბერძნეთი), გოგიტა გოგუა ("სპარტაკი" ნ, რუსეთი)

**თავდამსხმელები** - ზურაბ იონანიძე ("ზესტაფონი"), გიორგი დემეტრაძე ("მეტალურგი", უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), შოთა არველაძე ("ალკმაარი",ჰოლანდია)

ალსანიშნავია, რომ ტრავმის გამო ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს "ხუთჯვაროსნების" კაპიტანი, მილანელი კახა კალაძე. ასევე, არც თუ სასურველ ფიზიკურ კონდიციაშია ბლექბერნელი ზურა ხიზანიშვილი. შესაბამისად, ჩვენს გუნდს დაცვის ხაზში გარკვეული პრობლემები შეექმნა, რის გამოც ტოპმიოლერმა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. იგი გახლავთ ოდესის "ჩერნომორეცის" ქართველი მცველი, გიორგი შაშიაშვილი, რომელსაც აქამდე თერთმეტჯერ მოურგია ეროვნული გუნდის მაისურა.

---



## მოწვევა ტენდერში მონაწილეობაზე

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო განვითარების ასოციაციიდან (**IDA**) მიიღო კრედიტი ტყის განვითარების პროექტის განსახორციელებლად. Nნაწილი ამ თანხიდან უნდა მოხმარდეს ტყის ინვენტარიზაციაზე ორიენტირებული **აეროფოტოსურათების** გადაღებასა და ორთოფოტოების დამზადებას. (**GE/FDP/TS 5** ).

მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო, სამინისტროს სახელით, იწვევს ტენდერში მონაწილეობის მსურველებს წარმოადგინონ დახურული სატენდერო შემოთავაზებები შემდეგ ტექნიკურ მომსახურეობაზე: **აეროფოტოსურათების გადაღება და ორთოფოტოების დამზადება ტყის ინვენტარიზაციის ჩასატარებლად და შესაბამისი ტყის მართვის გეგმების შესამუშავებლად.** აეროფოტოგადაღებები უნდა განხორციელდეს ცენტრალური საქართველოს დაახლოებით 18 000 კვადრატულ კილომეტრზე.

ტენდერი ჩატარდება შეზღუდული საერთაშორისო ტენდერის (LIB) პროცედურების შესაბამისად (მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დოკუმენტი: შესყიდვები **IBRD** და **IDA** კრედიტებით).

დამატებითი ინფორმაციისა და ტენდერში მონაწილეობის მსურველებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოში შემდეგ მისამართზე : თბილისი, საქართველო 0114, გულუას ქ$6, მე-6 სართული; ტელ: + 995 (32) 752415/16/17 ან + 995 (32) 754050

საკონტაქტო პირი მანანა გვასალია შესყიდვების სპეციალისტის თანაშემწე

დაწვრილებითი ინფორმაცია, ასევე, იხილეთ სააგენტოს ვებ-გვერდზე : www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი

## განცხადება

2006 წლის 18 ივლისს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN)-ის საშუალებით გავრცელდა გარემოს დაცვის სამინისტროს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს განცხადება "ტყითსარგებლობის ზონირების გეგმების შემუშავება არსებული ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ბაზისის(კარკასის) საფუძველზე". (სტატისტიკური მეთოდი - ტყის ინვენტარიზაცია) ტენდერში მოწვევის თაობაზე.

Mმოწვევის პირობებში შეტანილია ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მიმდინარე ტენდერში საკონკურსოდ გამოვა ოთხი პაკეტი. **GE/FDP/TS2-6/1 (LOT-1); GE/FDP/TS2-6/2; GE/FDP/TS2-6/3(LOT 2); GE/FDP/TS2-6/6**

**დარჩენილ ოთხ პაკეტზე- GE/FDP/TS2-6/1(LOT 2); GE/FDP/TS2-6/3(LOT1);GE/FDP/TS2-6/4; GE/FDP/TS2-6/5** ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია მოგვიანებით.

ტენდერი ხორციელდება პაკეტების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების თანახმად.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 24 აგვისტო 17:00 საათი

მისამართი: თბილისი, საქართველო 0114, გულუას ქ$6, მე-6 სართული; ტელ: + 995 (32) 752415/16/17 ან + 995 (32) 754050

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათმიმართონ ამავე მისამართზე მანანა გვასალიას ან იხილოთ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს ვებ-გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს ტყის განვითარების პროექტი

### შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შესახებ

**კომპიუტერული ტექნიკის დანადგარების**
შესყიდვა ტენდერის საშუალებით

ტენდერი N T-0706-G-0228

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონში 2006 წლის 18 ივლისს შევიდა ცვლილებები და დამატებები, რის თანახმადაც სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს ცვლილებები სსე-ს მიერ გამოცხადებულ კომპიუტერული ტექნიკის სატენდერო დოკუმენტაციაში, კერძოდ:

კომპიუტერული ტექნიკის სატენდერო დოკუმენტაციაში შეიცვალოს საბაზისო მონაცემთა ნუსხაში შემდეგი პოზიცია:

ი.ტ.მ. 26.1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: გარანტია

ი.ტ.მ. 26.1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით: საბანკო გარანტია.

ი.ტ.მ. 26.1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების თანხის 2 %-ის ოდენობით.

**საეტნდერო კომისია**

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს სასადილოების ფუნქციონირების მიზნით ყოფილი პირველი საწარმოო რაიონის ადმინისტრაციული შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს და ცენტრალური შემკეთებელი სახელოსნოს შენობაში განთავსებული 380,74 კვ.მ.; 110,8 კვ.მ.; 216,5 კვ.მ. ფართობების 2 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.**

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის ყოფილი პირველი საწარმოო რაიონის ადმინისტრაციული შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე 380,74 კვ.მ. ფართობი; ავტოსატრანსპორტო საწარმოს 110,8 კვ.მ. ფართობი; ცენტრალური შემკეთებელი სახელოსნოს შენობაში განთავსებული 216,5 კვ.მ. ფართობები;
- იჯარის ფასი: 1 მ ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 3 ლარს (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 3 აგვისტოდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 18 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
1. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
2. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება მაქსიმალური ფასის გადამხდელ პრეტენდენტს.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

# განცხადება

გაზეთ "24 საათის" 148-ე ნომერში გარდაბნის რაიონის გამგეობამ გამოაცხადა ტენდერი სოციალურად დაუცველ ფენათა და უმწეოთა უფასო კვების მომსახურეობაზე. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ინდ. მეწარმე ლელა რაზმაძე, რომელთანაც 27 ივლისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

**სატენდერო კომისია**

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს სამხრეთ საწარმოო რაიონის ტერიტორიაზე არსებული 1 სართულიანი სამრეცხაოს (ქიმწმენდის) შენობის პროლონგაციის გარეშე 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.**

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - საიჯარო ქონების სასარგებლო ფართი შეადგენს 285,2 კვ.მ.;
- იჯარის ფასი: 1 მ ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 4 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 3 აგვისტოდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 18 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება მაქსიმალური ფასის გადამხდელ პრეტენდენტს.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

### შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შესახებ

**ზეთის რეგენერაციის და ფილტრაციის დანადგარების**

შესყიდვა ტენდერის საშუალებით
ტენდერი N T-0706-G-0227

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონში 2006 წლის 18 ივლისს შევიდა ცვლილებები და დამატებები, რის თანახმადაც სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს ცვლილებები სსე-ს მიერ გამოცხადებულ ზეთის რეგენერაციის და ფილტრაციის დანადგარების სატენდერო დოკუმენტაციაში, კერძოდ:

ზეთის რეგენერაციის და ფილტრაციის დანადგარების სატენდერო დოკუმენტაციაში შეიცვალოს საბაზისო მონაცემთა ნუსხაში შემდეგი პოზიცია:

ი.ტ.მ. 26.1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: გარანტია

ი.ტ.მ. 26.1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით: საბანკო გარანტია.

ი.ტ.მ. 26.1. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების თანხის 2 %-ის ოდენობით.

**სატენდერო კომისია**

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მე-2 საწარმოო რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სახელოსნოს შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე განთავსებული 210.98 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობის პროლონგაციის გარეშე 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.**

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

- საიჯარო ქონება - ნავსადგურის მე-2 საწარმოო რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სახელოსნოს შენობის 1-ლ და მე-2 სართულზე განთავსებული 210.98 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართობის, მათ შორის სასარგებლო ფართობი - 176,13 კვ.მ., დამხმარე სარგებლობის ფართობი - 34,87 კვ.მ.;
- იჯარის ფასი: 1 მ სასარგებლო ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 4 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

1 მ დამხმარე სარგებლობის ფართობის ყოველთვიური საიჯარო ღირებულება შეადგენს 1,5 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე);

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ფართობი იჯარით გაიცემა იმ პირობით, რომ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელი იქნება მეიჯარის (ნავსადგურის) პრივატიზების, ან მოცემული ფართობის პრივატიზების და ასევე რეალიზების შემთხვევაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 3 აგვისტოდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 18 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საიჯარო ფართების ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება მაქსიმალური ფასის გადამხდელ პრეტენდენტს.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

# ექსპლუატაციის ტექნიკოსი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის თანამდებობის დასაკავებლად.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

შერჩეული კანდიდატი გაივლის მომზადებას ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცედურებში და შეიძენს უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა BTC-ს ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციისა და ინტეგრირებული მუშაობისათვის.

ექსპლუატაციის და ტექმომსახურების ტექნიკოსის ზოგად მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს მიეკუთვნება (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ადამიანების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) პრინციპებისადმი განუხრელი ერთგულების დემონსტრირება.
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის შენარჩუნება ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" გაცემის სისტემის დანერგვა და ობიექტზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღრიცხვის წარმოება;
- HSE-ს და წარმოების სფეროებში მოქმედი პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა;
- კომპანიის პროცედურების, ვალდებულებების და მართვის სისტემების შესრულება;
- მილსადენის ექსპლუატაციის და ტექმომსახურების პროცესების, პროცედურების და ვალდებულებების შესრულება;
- ექსპლუატაციის და ტექმომსახურების წესების ათვისების უნარის გამოვლენა;
- პროაქტიური მიდგომა პრობლემებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისთვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა იმუშაოს მოშორებულ ადგილებში;
- აუცილებელია კომუნიკაციის კარგი უნარის გამომჟღავნება ობიექტზე მომუშავე თანამშრომლებთან და მილსადენის ექსპლუატაციის ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებში გარკვევის უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის და მილსადენის ობიექტების ინტეგრირებული მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების უნარი.

კონკრეტული მოვალეობები დაზუსტდება გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სათანადო საინჟინრო / ტექნიკური კვალიფიკაცია;
- საწარმოო სფეროში, მაგ. ელექტრულ, ინსტრუმენტულ, მექანიკურ, სამრეწველო საწარმოებში მუშაობის გამოცდილება;
- ზეპირი და წერილობითი ინგლისურის ფლობა და ენის შემდგომი დაუფლების სურვილი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 14 აგვისტო, ორშაბათი, 18 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

# ვ ა კ ა ნ ს ი ა

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ოთხშაბათი, 2006 წლის 23 აგვისტო.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# თანამდებობა: ტექმომსახურების მგეგმავი

bp

კომპანია BP Exploration Caspian Sea Ltd. -ს იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე კანდიდატს **ტექმომსახურების მგეგმავის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს ადგილმდებარეობა:** სუფსის ტერმინალი

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული მოვალეობები მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით

- დაიცვას ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები
- ტექმომსახურების გუნდთად ერთად დაგეგმოს ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური სამუშაოები
- ეფექტურად დაგეგმოს შესასრულებელი სამუშაო დავალებები
- იმუშაოს მაიკროსოფტის "მაქსიმოს" სისტემაში
- უხელმძღვანელოს სუფსის ტერმინალში არსებული ძირითადი მოწყობილობების ტექმომსახურების სამუშაოებს
- უხელმძღვანელოს სუფსის დოკუმენტების კონტროლის განყოფილებას
- წარმოადგინოს ტექმომსახუების ყოვეკვირეული ანგარიშები
- შეიმუშაოს ტექმომსახურების სამუშაოების შესრულების ყოველთვიური ძირითადი მაჩვენებლები (KPI)

**მოთხოვნები:**

- სათანადო უმაღლესი ტექნიკური განათლება (საინჟინრო)
- წარმოების დარგში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება
- ინგლისური ენაზე თავისუფლად საუბარი და წერა
- ავტომანქანის მართვა (მინიმუმ "ბ" კატეგორია)
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, MS Excel, MS PowerPoint, MS Access, MS Project, Auto CAD, VISIO გამართული ცოდნა და ამ ცოდნის გარღმავება.
- მრავალეროვან გარემოში მუშაობის უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი CV ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: **ხუთშაბათი, 31 აგვისტო.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

სუფსაში საცხოვრებლის უზრუნველყოფა კანდიდატის პასუხისმგებლობაა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, საყრდენი კედლების აღდგენა-რეკონსტრუქციის და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 7 პოზიციად (ლოტად):

1. კეკელიძის 25 და შატბერაშვილის ქ. N8-10-12 შორის მდებარე ფერდის გამაგრების (II რიგის სამუშაოები);
2. ჩიქოვანის ქ. N38 საყრდენი კედლის ახლის მოწყობა;
3. ბოტანიკურის ქ. N17 საყრდენი კედლის მოწყობა;
4. გორგასლის ქუჩა N103 კორპ. N2 საყრდენი კედლის ახლის მოწყობა;
5. დოლაბაურის ქუჩა საყრდენი კედლის აღდგენა-რეკონსტრუქცია, გამაგრება;
6. ვარკეთილი - 3 II მ/რ N4 სანიაღვრე ქსელის მოწყობა;
7. ვარკეთილი ზემო პლატოს კორპ. N12 სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უნდა ჩატარდეს საყრდენი კედლების და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვე.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 5 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 5 სექტემბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5.* თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 12 აგვისტოს 12 საათიდან 4 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.*ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელსეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების რირებულების 5% ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ბავშვთა ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიაზე მეწყრულ ზონაში დაზიანებული ფეკალური კანალიზაციის კოლექტორის აღდგენა რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ტერიტორიაზე მეწყრულ ზონაში დაზიანებული ფეკალური კანალიზაციის კოლექტორის აღდგენა რეკონსტრუქცია.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 27 დეკემბერი.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 5 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 5 სექტემბრის 17.30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5.* თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 14 აგვისტოს 12 საათიდან 4 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ვარკეთილი-3 I მ/რ კორპ N28 შენობის აღდგენა-გამაგრებისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების და ლიბანის N6 ავარიული სახლის დემონტაჟის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1. ვარკეთილი-3 I მ/რ კორპ N28 აღდგენა-გამაგრება;
2. ლიბანის N6 ავარიული სახლის დემონტაჟი;

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრება ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, ფუძე საძირკვლების გამაგრება-გაძლიერება, შენობის დაზიანებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების აღდგენა-გამაგრება, ავარიული სახლის დემონტაჟი.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 27 დეკემბერი.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 5 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 5 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5.* თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 14 აგვისტოს 12 საათიდან 4 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

*8.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*9.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

ცესკო

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის**

**განცხადება**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევ ხელახალ კონკურსს**
**შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე**

**საოლქო საარჩევნო კომისია:**

| N | საოლქო საარჩევნო კომისიის N და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული ვაკანსია | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1. | N1 მთაწმინდა | 1 წევრი | 250 ლარი |

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის 14-დან 23 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N32 (შესასვლელი არსენა ოძელაშვილის ქუჩის N21-დან), I სართული, საერთო სამსახური.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: **98-70-12, 98-70-13.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# ინფორმაცია

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

შ.პ.ს. "სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტი" ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 29 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 29 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტს დაემატოს 1 (ერთი) ლოტი (პოზიცია) და შეიცვალოს სამუშაოების დასრულების ვადა:

1. 9. ლოტი (პოზიცია) - 2700მ2;
2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვე 15 დღე.

შესაბამისად სარემონტო ფართი განისაზღვროს - 605555მ$^2$.

**ბრძანება N 214/ა**
**11 აგვისტო 2006 წელი**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის 1-1/617 ბრძანების პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1998 წლის 16 ივლისის N48 ბრძანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანავსადგურე ტარიფებისა და სანავსადგურე მომსახურების უზრუნველყოფისა და შესაბამისად ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით**

# ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სანავსადგურე ტარიფებისა და სანავსადგურე მომსახურების ახალი ტარიფების საკითხის საბოლოო მოწესრიგებამდე და შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" (შემდგომში - ნავსადგური) მხრიდან, ახალი სატარიფო განაკვეთების შემუშავებამდე, ნავსადგურის შესაბამისი სამსახურებმა და მესამე პირებმა ნავსადგურთან ურთიერთობისას დროებით იხელმძღვანელონ საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1998 წლის 16 ივლისის N48 ბრძანების გაუქმებისას არსებული სატარიფო განაკვეთებით.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2006 წლის 21 ივლისიდან წარმოშობილ და არსებულ ურთიერთობებზე.

**გენერალური დირექტორი: ფ. სურმანიძე**


# ივერია მოტორსი



- **ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში**
- **გარანტიით**
- **თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.**

**მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49**

## მოკლედ

### "უნივერსიტეტი" მილანში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი "უნივერსიტეტი" 11 აგვისტოს იტალიაში, მილანის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე გაემგზავრა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქორეოგრაფიული ანსამბლი 1923 წლიდან არსებობს და უამრავი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია. ბოლოდროინდელი წარმატებებისაგან აღსანიშნავია გრან-პრი პეკინის საერთაშორისო ფესტივალზე (2001 წ.) და პირველი ადგილები ათენისა (2002 წ.) და ბერლინის (2003 წ.) საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალებზე.

მილანის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე "უნივერსიტეტი" წარმოადგენს გამორჩეული ქორეოგრაფიული ხელწერით დადგმულ "მლეთურს", აგრეთვე ცნობილ ქართულ ცეკვებს - "ქართულს", "ფერხულს", "ხორუმს", "აჭარულს" და ა.შ.

"უნივერსიტეტი" საქართველოში 30 აგვისტოს დაბრუნდება. მგზავრობის ხარჯებს ანსამბლს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბოლნისის რაიონის გამგეობა დაუფარავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ღვინის "ბიბლია"

რობერტ პარკერის წიგნი "მყიდველის ღვინის გიდი", რომელიც ღვინის ბიბლიად მონათლეს, რუსულ ენაზე გამოიცა.

"სპეციალისტებსა და მოყვარულებს საშუალება აქვთ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია თუ როგორ უნდა აირჩიონ ღვინო, როგორ შეინახონ, როგორ უნდა მიიტანონ სუფრასთან, რომელ კერძთან რომელი ღვინო უნდა მიირთვა".

1987 წელს პარკერის წიგნს "წლის წიგნის" წოდება მიენიჭა. მას შემდეგ ღვინის სპეციალისტები და მოყვარულები პარკერის ნაშრომს "ბიბლიას" უწოდებენ. პარკერის შესახებ "ლოს ანჟელეს თაიმსი", "უოლტ სტრით ჟურნალი" და "ფიგარო" აღნიშნავენ, რომ პარკერი მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ღვინის კრიტიკოსია. "პარკერს უწოდებენ ტირანს, რომელიც საკუთარ აზრს გენიალურს, მსოფლიო საოცრებას უწოდებს. ამ ადამიანის წინაშე ქედს იხრიან მსოფლიოს ღვინის სპეციალისტები", - აღნიშნავენ გამოცემები.

პარკერის 100-ბალიანი შეფასების სისტემა აღიარებულია მისი კოლეგების მიერ და მიიჩნევა, როგორც ყველაზე ობიექტური. პარკერს თავის წიგნში დახასიათებული და შეფასებული აქვს 8 ათასი ღვინო მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან - დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, არგენტინა, ჩილე და სამხრეთ აფრიკა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

TV5MONDE

### 14 აგვისტო

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00, 00.45** (შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ნარკოტიკები და ადამიანის ტვინი. დოკ.ფილმი. **07.30** ტელეტურიზმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **11.05** ჩვენი სახლი. **12.15** კრისტიან ჟაკი. ბედნიერი ცხოვრება. დოკ. ფილმი. **14.05** ტელეტურიზმი. **14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 36. **16.25** ბავშვი ჩვენც ხომ არ გაგვეჩინა. მხ.ფილმი. რეჟისორი კრისტიან სპიერო. 1997. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** "ჩაო ბელა". სერიალი. **20.30** ლევი და გოლიათი. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟერარ ური. 1987. **23.00** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **04.20** ახეტატონი. 1350 წელი ჩვენს ერამდე. დოკ.ფილმი.

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს უნივერსიტეტის გერბის შესაქმნელად

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსხურს. მისამართი: ასათიანის N7, თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, N 315. ტელ. 39-76-33

### შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ავტომანქანების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 27 ივლისს **"ავტომანქანების შესყიდვის შესახებ"** გამოცხადებული ტენდერის შესწორებულ ვარიანტში (29.07.06) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებ.

აღნიშნულ ტენდერში, შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | მაღალი გამავლობის (ე.წ. ჯიპის) ტიპის ავტომანქანა | 2 ცალი |
| 2 | დაბალი გამავლობის (ე.წ. სედანის) ტიპის ავტომანქანა | 1 ცალი |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

### კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 4 აგვისტოს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში *კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- განცხადების მე-7 ლოტით გათვალისწინებული სამფაზა 5კვტ 50 ჰც სტაბილიზატორის ოდენობა ნაცვლად 8-სა განისაზღვროს 10 ცალით;
- განცხადების მე-7 ლოტით გათვალისიწნებული ერთფაზა 10 კვტ 50 ჰც სტაბილიზატორი შეიცვალოს სამფაზა 10 კვტ 50 ჰც სტაბილიზატორზე და მისი ოდენობა ნაცვლად 10-სა განისაზღვროს 8 ცალით.

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული *კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

*სატენდერო კომისია*

# დმანისის გრან-პრი



*გამარჯვებული ფილიპე კვარტერო პრიზით ხელში.*

თეონა ჯაფარიძე

ყოფილხართ ოდესმე მსგავსი დაჯილდოების ცერემონიალზე, როცა წითელი ხალიჩის, ვარსკვლავებისა და ცნობილი დარბაზების ნაცვლად, შუაგულ ტყეში, გაშლილ მინდორზე ელოდებოდით გმარჯვებული ნომინანტების ვინაობის გამოცხადებას? თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, ნომინაციები შემდეგ კატეგორიაში ცხადდებოდეს: შუბის საუკეთესო მტყორცნელი, საუკეთესო პრეისტორიული მხატვარი, საუკეთესო ქვის იარაღის შემქმნელი და ყოველგვარი ასანთისა და სხვა ცივილიზებული საშუალების გარეშე ცეცხლის საუკეთესო დანმთები; გრანპრი კი ჰომო ერექტუსის თავის ქალის ასლი იყოს.

ალბათ მიხვდით: ჩვენ დმანისში, პირველი ევროპელების - მზიასა და ზეზვას ადგილ-სამყოფელში ვიმყოფებით.

12 აგვისტოს დმანისის მუზეუმ-ნაკრძალში პრეისტორიის დღე აღინიშნა. აქ საერთაშორისო პროექტში ქართველ არქეოლოგებსა და სტუდენტებთან ერთად უკვე კარგა ხანია მუშაობენ იტალიელი, ესპანელი, ჰოლანდიელი, შვეიცარიელი, აზერბაიჯანელი კოლეგები. დმანისის ექსპედიციის წევრებმა და ადგილობრივმა მოხალისე დმანისელებმა ერთი დღით გადაწყვიტეს ჰომო ერექტუსის ცხოვრებით ეცხოვრათ და მისი ყოველდღიური ყოფა და პრობლემები გაეზიარებინათ. ასეთ ხერხს ექსპერიმენტულ არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტები ხშირად მიმართავენ. ეს მეთოდი ფართოდ აპრობირებულია ევროპულ სამეცნიერო წრეებში. ის ერთდროულად ეხმარება კვლევას, საგანმანათლებლო დატვირთვაც აქვს და შოუს ელემენტებსაც შეიცავს, რაც მუზეუმის საცავებში გამოკეტილ მტვერდაყრილ წარსულს აცოცხლებს და დინამიკაში მოჰყავს.

ერთი სიტყვით, იმ "პრეისტორიულ" დღეს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დროებით გათხრები შეწყდა და ყველამ გაშლილ მინდორზე მოიყარა თავი: პრეისტორიული ცხოველების - მარტორქის, გარეული ცხენის და ა.შ. სამიზნეები წინასწარ მოემზადებინათ. შეჯიბრი ჯერ შუბის ტყორცნაში გაიმართა. შემდეგ "ქვის ატელიეში" გადაინაცვლეს და იარაღის დამუშავებას შეუდგნენ. ქვა მაშავერასა და ფინეზაურის ხეობიდან ამოზიდეს. ისევე როგორც ამას ერთ დროს დმანისელი ჰომო ერკტუსი აკეთებდა, მათაც დაიწყეს ხელცულების, წვეტანებისა და ანატკეჩების კეთება. ყველაზე ძნელი ცეცხლის დანთება აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ენერგოკრიზისი ოდითგანვე აქტუალური თემა ყოფილა. ესპანელმა არქეოლოგებმა - ფილიპემ და დიეგომ დიდხანს უხახუნეს ორი ხე ერთმანეთს, სანამ საბოლოოდ ცეცხლი უამრავი აპლოდისმენტების თანხლებით არააგიზგიზეს.

თუ იმ დღევანდელი დღით ვიმსჯელებთ, მიუხედავად სიძნელეებისა, პრეისტორიულ ხანაში ცხოვრება არც ისე მოსაწყენი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, 2006 წლის 12 აგვისტო პრეისტორიულ ვუდსტოკს უფრო წააგავდა ენერგიული მუსიკისა და გამაგრილებელი სასმელების თანხლებით. კიდევ ერთი ნიუანსი: ექსპედიციის ყველა წევრს ზეზვასა და მზიას გამოსახულებიანი (ისინი ერთმანეთს კოცნიან) მაისური ამშვენებდათ წარწერით: Life is beautiful. ეს წყვილი ხომ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში უკვე დმანისის, საქართველოსა და, ბოლოს და ბოლოს, ევროპის ბრენდია. დროა სამეცნიერო წრეებიდან მათ პოპკულტურაში გადმოინაცვლონ. მსგავსი მაისურები, იმედია, ეროვნული მუზეუმის სუვენირების მომავალ მაღაზიებშიც გადმოინაცვლებს სხვა უამრავ სუვენირთან ერთად. ეს ჰიპური მაისურიც მუზეუმის თანამედროვე მოწყობის ერთი პატარა მარკეტინგული ნიუანსია.

"დმანისის ინტრიგა მხოლოდ სენსაციური აღმოჩენები არ არის, აქ მნიშვნელოვანი მისი ფართე საზოგადოებისათვის გაცნობაცაა. გათხრები ამ სეზონზე ნაადრევად, 25 აგვისტოს შეწყდება. დაიწყება მისი გადახურვა. მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის შემოსასვლელში უკვე მზადდება ვიზიტორცენტრები. სულ რაღაც ერთ წელიწადში აქ ტურისტები საინტერესოდ გაატარებენ დროს." - მიხსნის ეროვნული მუზეუმის დირექტორი ბატონი დავით ლორთქიფანიძე.

ნომინაციები კი ასე გადანწილდა: შუბის ტყორცნაში პირველი ადგილი დმანისელმა - ვახტანგ ლაშქარაშვილმა მოიპოვა. "ხედავთ, რას შვრება გენეტიკა?" - ასეთი იყო ბატონი დავითის კომენტარი.

ესპანელმა ფილიპე კვარტერომ (მადრიდის ავტონომიური უნივერსიტეტიდან) კი ნამდვილი პრეისტორიული ადამიანის ტიტული მოიპოვა ისე ოსტატურად გამოთალა ქვისგან ხელცული და დაანთო ცეცხლი. - "იმედია, მადრიდის "რეალსაც" ისეთივე წარმატება ექნება წელს, როგორც შენ დმანისში" - განაცხადა ბატონმა დავითმა და გამრჯვებულს დმანისის გრანპრი: - ჰომო ერექტუსის თავის ქალა გადასცა.

### განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

| | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | დიზელის საწვავი L-62 | ლიტრი | 40 000 (ორმოცი ათასი) | 2006 წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი) 2006 წლის 4 სექტემბრის 15 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისის, გაგარინის 29 -ა, მესამე სართული.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
2. ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართა არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმომადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

სატენდეტო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის 29, მესამე სართული. **სატენდერო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს შპს "საგზაო ტექნიკის" ანგარიშზე:** კერძოდ: ს/ს "თიბისი ბანკი" - მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი: 220101850, ა/ა: 360200175, ს/კ: 205140257;

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდრო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო კომისიის აპარატში საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 4 სექტემბრის 15 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისის, გაგარინის 29 -ა, მესამე სართული.

დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნდება წარმომადგენელ პირებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში. საკონტაქტო ტელეფონი: 38-48-85; 38-48-86;

*შპს "საგზაო ტექნიკა"*
*სატენდერო კომისია*
*2006 წ.*


### გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





### "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06 / 893 65 38 39**



### სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**